პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 176 (12992) | ხუთშაბათი, 30 ივლისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი

29 ივლისს სსრ კავშირის მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

უ ტანთან ერთად მიღებაზე იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ვ. პ. სუსლოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და უ ტანს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ისინი შეეხნენ ბევრ საერთაშორისო პრობლემას, განსაკუთრებით იმ პრობლემებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას ეხება.

საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციათა განყოფილების გამგე კ. ვ. ნოვიკოვი. (საკდესი).

მოლაპარაკებების გასამართავად

ათენი, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდნენ კვიპროსის შინაგან საქმეთა მინისტრი პოლიკარპოს გეორგადისი, რომელიც დროებით ასრულებს კვიპროსის თავდაცვის მინისტრის მოვალეობას, და კვიპროსის ეროვნული გვარდიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კარაიანნისი.

ისინი სასწრაფოდ გამოიწვია კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა საბერძნეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრთან პ. გარუფალიასთან თათბირის შემდეგ.

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). კვიპროსის შინაგან საქმეთა მინისტრი პ. გეორგადისი და კვიპროსის ეროვნული გვარდიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კარაიანნისი, რომლებიც დღეს ნიკოზიიდან ათენში ჩავიდნენ, მონაწილეობას მიიღებენ საბერძნეთის სამხედრო ლიდერებთან გამართულ სპეციალურ თათბირში. თათბირზე, რომელიც დღეს გაიმართება, განიხილავენ კვიპროსის თავდაცვის განმტკიცების საკითხს. ამას იუწყება ათენიდან რეიტერის საგენტო, რომელიც იმოწმებს ავტორიტეტიან წყაროებს.

ქ. კენედი იხსოვრებს ნიუ-იორკში

შაკლინ კენედიმ, ამერიკის შეერთებული შტატების განსაკენებული პრეზიდენტის ჯონ კენედის ცოლმა, 200 ათას დოლარად იყიდა 15-ოთახიანი ბინა ნიუ-იორკის ფაშენებელურ რაიონში. განმარტა რა ნიუ-იორკში გადასვლის მიზეზები, ჯაკლინ კენედიმ თქვა, რომ უამრავი ტურისტი გარს ეხვევა მის სასლს ვაშინგტონში და არღვევს ოჯახის მყუდროებას. (საკდესი).

ᲓᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

კომეცეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მუდამ იყო და არის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პირველი რიგის ამოცანა. ყველა ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანის ცხოვრება შრომით და მსოლოდ შრომით გაუხადოთ საამური, მდიდარი, ყველა სიკეთით უზრუნველყოფილი.

კოლმეურნეებისათვის დიდი ზრუნვის დადასტურებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიმდინარე წლის 15 ივლისს მიღებული **კანონი კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ.** ეს კანონი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია. ამით პრაქტიკულად ხორციელდება სკკპ ახალი პროგრამის სისხლხორცეული მოთხოვნები. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო სწრაფად განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მკვეთრად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და სულ უფრო სრულად დავკმაყოფილოთ მთელი საზოგადოების წევრთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილებანი.

კოლმეურნეობებში პენსიით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შემოღება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა. იგი ადასტურებს და რაზმავს სოფლის მშრომელებს მეტი მარცხლეულისა და ჩაისათვის, მეცხოველეობის მეტი პროდუქტებისათვის, ყურძნის, ციტრუსების, ხილისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ზრდისათვის საბრძოლველად.

„პირდაპირ და გულახდილად უნდა ვუთხრათ ყველა კოლმეურნეს, —თქვა სესიაზე თავის მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ საბჭოთა სახელმწიფოს საპენსიო პოლიტიკა ძიზნად დაისახავს იმას, რათა მოხუცებულობაშიც წავახალისოთ ისინი, ვინც უკეთ შრომობდა. დაე ყოველმა კაცმა იცოდეს, რომ თუ იგი კარგად მუშაობს დღეს, უკეთ იქნება უზრუნველყოფილი მოხუცებულობაშიც. საქმისადმი ასეთი მიდგომა შეესაბამება კოლმეურნეთა, მთელი საბჭოთა საზოგადოების ინტერესებს".

საპენსიო უზრუნველყოფის სიკეთე კარგა ხანია იგემეს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ზემო ქედის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არსენ კობაიძე) წევრებმა. ამ კოლმეურნეობაში ამჟამად ასზე მეტი კოლმეურნე იღებს პენსიას.

კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფის საქმეს სერიოზული ყურადღება ექცევა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში". აქ 197 კოლმეურნე იღებს პენსიას. ტაბილი სიბერისა და ბედნიერების კანონებს უწოდებენ სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ცხაკაიას რაიონის სოფელ თაიის მცხოვრები 90 წლის ნ. საჯაია, დდიანეთელი და მლეთელი (ლენინგორისა და დუშეთის რაიონები) სახელმოხვეჭილი მწყემსები ვარდო ბერიანიძე და შიო ნაზღაიძე. ისინი საქართველოს ყველა კოლმეურნის აზრებსა და გრძნობებს გამოხატავენ და მოუწოდებენ ყველას თავდადებული შრომით კიდევ უფრო განამტკიცონ კოლმეურნეობათა ეკონომიკა, ყველა პირობა შექმნან კოლმეურნეთა უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის.

პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ. სესიის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ყვარლის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის კომბაინერმა ზაალ სუხიტაშვილმა, რომელიც კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა, სასახელოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — 12 სამუშაო დღეში აიღო მოსავალი.

ამ დღეებში საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს — **უახლოეს წლებში მკვეთრად რომ აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა. იკისრეს სპეციოზული ვალდებულებები და მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს.** ამ თაოსნობას საქართველოს კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და გააჩაღეს ლაშქრობა იმისათვის, რომ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას. ახალციხის, ბარდანის, ბურჯაანის, მცხეთის, თეთრი წყაროს, მახარაძის, ცხაკაიის, ზესტაფონის, საჩხერის და სხვა რაიონების მშრომელები პრაქტიკულად შეუდგნენ გაუამრებული ნასვენი მიწების ათვისებას, ჯაგნარებისა და ქვებისაგან მიწების გაწმენდას, ტუესაცავი ზოლების გაშენებას.

ახლა ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მოღვაწეობა, უფრო ქმედითი გავხადოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად. ამას მოითხოვს საქმის ინტერესები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლა უველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანია.

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია ორასი ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობის მონაწილეებმა გააძლიერონ კრეფის ტემპი. ამ საქმეში არც თუ ისე კარგი მდგომარეობაა. 25 ივლისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 71,9 პროცენტით, ივლისისა — 80,3 პროცენტით. ეს ციფრები მრავლისმეტყველია. ოდნავი თვითდამშვიდება დიდ ზიანს მიაყენებს საერთო შედეგებს. ამასთან ერთად უნდა დავაჩქაროთ მოსავლის აღება, თივის დამზადება, სილოსის ჩადება და სხვა სამუშაოები.

ამხანაგო კოლმეურნეებო! სანიმუშოდ მოაწყეთ კომუნისტური შრომა და ცხოვრება, ახალი, დიდი წარმატებებით ასახელეთ სამშობლო! — ასეთია ამოცანა.

ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის პირველი სესიის თავმჯდომარემ გამალ აბდელ ნასერმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც მადლობას უძღვნის კონფერენციისადმი გაგზავნილი მისასალმებელი წერილის გამო.

თქვენი აღმატებულების წერილი აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კაიროს კონფერენციისადმი, წერს გამალ აბდელ ნასერი, მიღებულ იქნა დიდი მადლობით. ჩემი კოლეგებისა და პირადად ჩემი სახელით მადლობას გიძღვნით ამ წერილში გამოთქმული კეთილი გრძნობებისათვის. იმისათვის, რომ წარმატებას უსურვებთ ჩვენს ორგანიზაციას აფრიკის ქვეყნების ერთობის შემდგომი განმტკიცების, აფრიკის სრული განთავისუფლებისა და იმპერიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის დაუფლებლივ ლიკვიდაციის საქმეში. (საკდესი).

ᲐᲮᲚᲘ ᲒᲠᲝᲨᲣᲠᲐ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილისა, რომელიც 1964 წლის 15 ივნისს გაეგზავნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მისი 1964 წლის 7 მაისის წერილის პასუხად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „კომუნისტის" 1964 წლის მეათე ნომერსა და გაზეთ „პრავდის" ამა წლის 17 ივლისის ნომერში, საბჭოთა კომუნისტებს აცნობს ჩვენი პარტიის მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებში.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ—ᲔᲥᲕᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ



გეგეჭკორელებმა სამი თვის გეგმა შეასრულეს

გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ჩხოლაია** და სამმართველოს უფროსი ამხ. **ჯელია** რედაქციას ატყობინებენ, რომ გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა 25 ივლისისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სამი თვის გეგმა. მაის-ივნისსა და ივლისში გეგმით გათვალისწინებული 6.290 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 6.292 ტონა „მწვანე ოქრო".

გეგეჭკორელების გადაწყვეტილებაა **ივლისის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.**

წარმატება მოიპოვა **დიდი ჭყონის** ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. ივლისში გეგმით გათვალისწინებული 457 ტონის ნაცვლად მოკრიფა 470 ტონა. მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 120 ტონა ჩაის ფოთოლი. დღემდე მეურნეობას მოკრეფილი აქვს 152 ტონაზე მეტი.

მახარაძელ მეჩაიეებთან

მახარაძის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები თავდადებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. მათ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილი აქვთ 27.600 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. მარტო ივლისში მოკრეფილია 7.000 ტონაზე მეტი.

მახარაძელმა მეჩაიეებმა 28 ივლისს მოკრიფეს 270 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო", 29 ივლისს უფრო მეტი. კრეფის ტემპი გაძლიერეს **ნაგომრის** კოლმეურნეობა „საქართველოს", **ძიმითის** „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის, **ნატანების** ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე დაწინაურდნენ **ჩიხატაურის** რაიონის კოლმეურნეობები, **ლაითურისა** და **ნასაკირალის** საბჭოთა მეურნეობები.

კვლავ მოწინავეთა რიგებში არიან ცნობილი მეჩაიეები სოფელ შრომის კოლმეურნეობიდან **ტატიანა ჩხაიძე,** ნაგომრიდან **ლეილა მაღულარია,** განახლებიდან **ზინა ბაჯელიძე,** რომლებმაც კარგა ხანია წლიური გეგმები შეასრულეს და ახლა ჩაის ფოთოლს ვალდებულების ანგარიშში კრეფენ.

ᲯᲕᲐᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

წალენჯიხა. (საკ. კორ.). წელს განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ჯვრის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები. ჯვარელები მალე ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებას უპატაკებენ სამშობლოს. განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ვ. ჭანტურია და ვ. ფიფია ხელმძღვანელობენ.

წლიური გეგმა შეასრულეს ნოვატორმა მეჩაიემ თ ა ლ ი ა კ ო ფ ი ფ ი ა მ. იგი 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. მას გეგმით 3.600 კილოგრამი ჩაი უნდა მოეკრიფა. 20 ივლისისათვის მოკრეფილი აქვს 4 ათას კილოგრამზე მეტი. 1 ივლისისათვის ავანსად მიიღო 1.032 მანეთი. ჩ ა ხ უ ქ ა რ დ ა ვ ა მ წლიური გეგმის ზევით 1.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩაბარა სახელმწიფოს.

წლიური გეგმა შეასრულეს ნელი შანავამ, ფრენელა ქარდავამ, ციცა კვარაცხელიამ, ლუნა ციმინტიამ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—ᲙᲣᲒᲐᲡ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). წარმატებით მუშაობენ ზესტაფონელი მეტალურგები. რომლებიც ზაპოროჟიელ და ალავერდელ თანამოსაძმეებს ეჯიბრებიან. მათ ნახევარი წლის გადამეტებით დიდძალი ლითონი გამოადნეს, ორ მილიონზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია და დიდი რაოდენობით მასალები დაზოგეს. **მარტო რაციონალიზაციებმა შვიდწლედის ფონდში წელს 60 ათასი მანეთი შეიტანეს.**

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე საამქროს კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ქალი ნ. ქათამაძე უძღვება.

ზესტაფონური ფეროშენადნობები თითქმის ყველა მატერიზე მიიღო. ძვირფასი ლითონი ზესტაფონიდან ამ დღეებში გაიგზავნა კუბაში.

ᲙᲐᲕᲗᲘᲡᲮᲔᲕᲣᲠᲘ ᲙᲘᲠᲥᲕᲐ

ყასპი. (საკ. კორ.). **კავთისხევის კირქვის კარიერის კოლექტივმა მიმდინარე წლის შვიდი თვის საწარმოო დავალების გადამეტებით რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნებს მიაწოდა 14.500 ტონა კირქვა.**

ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ბახტაძე, ექსკავატორების პარკის ბრიგადირი პ. აბუაშვილი, ავტომარკის მოტორისტი შ. ქეშელაშვილი, საჰაერო-საბაგირო გზის ბრიგადირი გ. მანდულაშვილი **ყველაზე მოწინავენი არიან კირქვის საწარმოში.**

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. მ. ბერბერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და დამსახურების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით სკკპ წევრი 1917 წლიდან, პენსიონერი ამხ. ივანე მიხეილის-ძე ბერბერაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი,
1964 წლის 28 ივლისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე ამხ. ბიძინა სიმონის-ძე ჯაფარიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი,
1964 წლის 28 ივლისი.

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს „კოლეგია" განიხილავდა სპეციალური სამუშაო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს.

კოლეგიაზე გადაწყდა მიმდინარე და მომავალ წლებში გადიდონ სპეციალური ტანსაცმლისათვის გაუმჯობესებული ასორტიმენტის ქსოვილების გამოშვება. გაუმჯობესდება მათი შეღებვის ხარისხიც. ფეიქრები მიიღებენ მანქანებს, რომლებითაც გამოუშვებენ ისეთ ქსოვილებს, რომლებიც ცოტას იკლებს. სამკერვალო საწარმოთა სპეციალიზაცია უზრუნველყოფს სამუშაო ტანსაცმლის გამოშვებას დღევანდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად.

(საკდესი).

ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲐᲛᲙᲐᲨᲘ

რიონჰესის 30 წლისთავი





შუქარდა რიონს ლაღად ნავარდი. მოქუხდა, ღრიალით იკლებდა პირდაღებულ ხეობას ფასის მთიდან წამოსული ანკარა მდინარე. მორბოდა, მკერდში იხუტებდა რუ-ნაკადულებს, ღელეებს და შხუილით აღვიძებდა რაჭა-ლეჩხუმის ტყიან არემარეს. მუდამ ზღვისკენ ილტვოდნენ აქაფებული ზვირთები, დგაფუნით, ერგვინვით ასკდებოდნენ ლოდებს პიტალო კლდეებთან ჭიდილში გავეფხებული რძისფერი ჩქერები.

დასაბამიდან თავისუფლად მოედინებოდა რიონი და რას იფიქრებდა, თუ ასე მოდრეკდა, მოათვინიერებდა, არტახებში ჩასვამდა თანამედროვე ადამიანი. წყალი ახლაც ურჩობს, ღელავს და შფოთავს კაშხალების წინ დაოკებული, როდი უხარია მორჩილება, მაგრამ რას იზამს! ძალას, შემოქმედებით შემტევი ადამიანის ძალას ნებდება ხალხის სამსახურში ჩამდგარი სახელოვანი მდინარე.

ჯერ იყო და უფრო ადრე დაიმორჩილეს მისი უფროსი ძმა, ბარათაშვილის ფიქრგასართველი ბუტბუტა მტკვარი. ისიც ხომ ლაღად მოქროდა, თუმცა ტკივილიც ბევრი მოჰქონდა ერუშეთის მთებიდან. მაგრამ ვიდრე თბილისს მოაღწევდა, საგუბარი აღუმართეს და შეტბორეს ჯვარის ძირას, სწორედ იმ ადგილას, სადაც არაგვიანი არაგვი ატეხილი ჩქერებით მტკვარს უერთდება.

საბჭოთა საქართველომ აისრულა სანუკვარი ოცნება — ელექტროსადგური აჩახჩახდა ზემო ავჭალასთან, ხალხის მედგარი შრომით იშვა ახლადფეხადგმული, ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული რესპუბლიკის ელექტროფიკაციის პირმშო — ზაპესი. მოვიდა მისი პირველი შუქი, და 1927 წლიდან თბილისის ღამემ დაბუჟა თვალი.

ზაპესი გადაიქცა ფუნჯისა და ყალმის ოსტატების, პოეტური სიტყვის მეგუთნეების, შობლური ჰანგების შემოქმედთა შთაგონების უშრეტელ წყაროდ. უმღეროდნენ ზაპესს და ეს სიმღერა იყო დიდება საბჭოთა საქართველოსი, დიდება კომუნისტური პარტიისა, რომლის მესვეურობით ახალი ცხოვრების შენებას შეუდგა მრავალჭირვარამგამოვლილი ქართველი ხალხი.

წლითიწლობით იზრდებოდა რესპუბლიკა. ჯერ ნელა, მერე უფრო აჩქარებული ტემპით გაჩაღდა სამრეწველო მშენებლობა. გაჩნდა ბევრი ახალი საწარმო, მაღარო, შახტი და ყველას უნდოდა თავისი საზრდო თეთრი ნაბშირი — ელექტრობა.

სად, თუ არა მშფოთვარე მდინარეებით სავსე საქართველოში უნდა გაშლილიყო მძლავრი ჰიდროელსადგურების შენება! ასეც მოხდა.

მეორე ჰიდროელსადგურად აკაკის სავარდო და სამაისო ქუთაისიდან მოევლინა საბჭოთა საქართველოს ზაპესის გოლიათი თანამძმე — რიონჰესი.

ვინ იცის, როგორ შეერთნენ წითელფორეჯა კალმახები, როცა წყალწითელასთან აიმართა ვეება კაშხალი, სინათლისთვის შეტბორდა ტინის მკვნეტელი რიონი და შემდეგ სილენძის სადენებს მიაბარა თავისი ქაფიანი ზვირთების მთელი ძლიერება.

ახლა ჩვენ გაჩირაღდნებულ, უკვე ადამიანის მორჩილ რიონს ვუმზერთ და შევხარით მის ბრწყინვალებას. და როგორ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ამ სანეტარი შუქის დაბადებას წინ უძღოდა დიდი შრომითი გმირობა. გვინდა მკითხველს მოვაგონოთ ის მღელვარე დღეებიც, როცა საქართველოს ბოლშევიკების მოწვევით 1927 წელს რესპუბლიკას ესტუმრა ყოფილი თბილისელი მუშა, საბჭოთა ხალხის გულისხმიერი მეგობარი **მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.** იგი ეწვია საზეიმოდ ამღერებულ ქუთაისსაც და მომავალი რიონჰესის დღევანდელი საგუბრის ადგილას აიფეთქა ამონალი — საძირკველი ჩაუყარა მეორე მძლავრი ჰიდროელსადგურის მშენებლობას საქართველოში.

საბედნიეროდ მაშინდელი მატინგის სურათი კინოფოტოფონოს არქივში აღმოჩნდა და კეთილი სურვილით შემოსთავაზეს ჩვენი გაზეთის რედაქციას არქივის თანამშრომლებმა ბ. ჩიკვაიძემ და ვ. გურგენიძემ.

როგორც დოკუმენტური წყაროები გადმოგვცემენ, ამ ხალხმრავალ მატინგზე საინტერესო სიტყვა წარმოთქვა **შალვა ელიავამ.** სამართლიანობა მოითხოვს არ დავუკარგოთ ამ ადამიანს გულის სიღრმიდან ნათქვამი პოეტური ჩანაფიქრი „დღეიდან რიონი ოქროს მძივებად ასხამს თავის ქაფნარევ შხეფებს და ელექტრონის მოციმციმე სხივები დაეფრქვევა ომერეთს... რიონმა სინათლედ უნდა გარდაქმნას თავისი აზვირთებული ტალღები".

ოცნება ახდა... საბჭოთა ადამიანების შეუპოვარი შრომით რიონმაც ააელვარა თავისი ქაფიანი ზვირთები. ნამიტინგარ ადგილას, სადაც მ. კალინინს, შ. ელიავას და ა. გეგეჭკორს და სხვებს ვხედავთ, რიონჰესის მთავარი კაშხალია აღმართული.

30 წელი გავიდა რიონჰესის ამუშავებიდან. ამ ხნის მანძილზე რიონჰესმა ქვეყანას მისცა რვა მილიარდამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია. რიონის წყალთა ოქროს მძივები აჩირაღდნებს ქალაქებს, სოფლებს. რიონის დენი ამოძრავებს მატარებლებს რესპუბლიკის ლიანდაგებზე, აღნობს ფეროს, ამუშავებს ჭიათურის შავი ქვის მაღაროებს, ქუთაისის საწარმოებს, ტყიბულის შახტებს და ვინ მოთვლის რამდენ რამეს...

ფასის მთიდან გადმომქუხარი რიონი უკვე საბოლოოდ დამშვიდდა და ვერ მორბის ძველებური სილაღით, ლაჯანურთანაც ამოსდის ლაგამი მის ფფაურაყრილ ზვირთებს და ელექტრობად აქციეს ხევზევ დგაფუნა წყალი. დაცხრა, ახალ ადამიანს დანებდა რიონი, რომ ახალი ცხოვრების შენებით ახაროს მამულის სიყვარულით გულსავსე ადამიანი.

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲣᲣᲠᲣᲚᲘ.

* * *

სურათებზე: (მარცხნივ) მიტინგი რიონჰესის სთაველესთან 1927 წელს. ტრიბუნაზე არიან მ. კალინინი, ა. გეგეჭკორი, შ. ელიავა. (მარჯვნივ) რიონჰესის კაშხალის ხედი.

ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

მდგომარეობა ჩრდილოეთ როდეზიაში

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). ქალაქ შინსალის (ჩრდილოეთ როდეზიის ჩრდილოეთ ნაწილში) რაიონში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლუსაკიდან, პოლიციისა და ერთ-ერთი რელიგიური სექტის წევრთა შეტაკების დროს დახოცილია 34 და დაჭრილია 19 კაცი. გადაწვეს 30 სოფელი. შეტაკების რაიონში ჩრდილოეთ როდეზიის მთავრობამ გაგზავნა ჯარები. დღეს იქ გაფრინდება ჩრდილოეთ როდეზიის პრემიერ-მინისტრი კენეტ კაუნდა.

სიტყვა წარმოთქვა რა გუშინ რადიოთი, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჯარებს მიეცათ მითითება რადაც უნდა დაჯდეს მშვიდობა და წესრიგი დაამყარონ ამ რაიონში. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამაო აღმოჩნდა მთავრობის არაერთგზისი მიმართვა სექტის წევრებისადმი შეეწყვიტაო ტერორისტული აქტები და თავდასხმები.

ᲣᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

უმუშევრობა ირანში

თეირანი, 29 ივლისი. (საკდესი). თუ მთავრობა არ განახორციელებს სასწრაფო და ენერგიულ ღონისძიებებს ეკონომიკის განსავითარებლად, ირანის პერსპექტივები სავალალო იქნება, განაცხადა თეირანის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ჰოსროვშახმ, რომელიც გამოვიდა ირანის ცენტრალური ბანკის ყოველთვიურ სემინარზე. ჰოსროვშახმ ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად ირანში მილიონი უმუშევარია.

სიცივე ბრაზილიაში

უჩვეულო სიცივეა ბრაზილიაში. ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსით ალუს 4,4-მდე დაეცა. მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲒᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲓ ᲣᲢᲔᲕᲔᲜ

პარიზი, 29 ივლისი. (საკდესი). აჯანყებულთა ნაწილების იერიშების შედეგად კონგოს არმიის ჯარებმა დატოვეს ქალაქი კონგოლო, რომელიც მდებარეობს 145 მილზე ჩრდილოეთ კატანგის დედაქალაქის ალბერტვილის ჩრდილო-დასავლეთით. კონგოლოს გარნიზონმა ვერ შეძლო შეეკავებინა აჯანყებულნი, განაცხადა ჩომბეს მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა გოდფროა მუნონგომ. როგორც ფრანს პრესის, საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მუნონგო სასწრაფოდ გაფრინდა ლეოპოლდვილს შემდგომი კონსულტაციებისათვის. უკანასკნელი ცნობების თანახმად, კონგოელი აჯანყებულნი, რომლებიც კასონგოსა და კაბალოს რაიონებიდან უტევენ, შევიდნენ კონგოლოში და ქალაქ სენტერის მისადგომებზე არიან. კონგოლოს დაცემა, როგორც ფიქრობენ, აჯანყებულებს აძლევს მოქმედების ფართო ბაზას ტერიტორიაზე, რომელშიც შედის ჩრდილოეთ კატანგის, მანიემისა და კივუს პროვინციები. კაბალოს რაიონიდან მიღებული ცნობებით, რომელიც აჯანყებულებმა დაიკავეს, უკან დახეულმა კონგოს ჯარებმა დატოვეს კიტენგე, სადაც იყო კონგოს არმიის მთავარი ბინა, და ემზადებიან იმისათვის, რომ დასცალონ კამბოგო — უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი დიდი სამხედრო ბაზის კამინას წინ. კინდუდან იუწყებიან, რომ აჯანყებულთა რაზმები მიიწევენ კონგოს აღმოსავლეთ პროვინციის დედაქალაქის სტენლივილისაკენ.

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). კონგოელმა აჯანყებულებმა დაიკავეს პატარა ქალაქი ბოლობო, რომელიც მდინარე კონგოზე მდებარეობს 150 მილზე ლეოპოლდვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იუწყება რა ამას, ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი წერს, რომ ბოლობოს დაცემა კონგოში ქმნის აჯანყებულთა მოძრაობის ახალ ცენტრს.

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲒᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

დელი, 29 ივლისი. (საკდესი). პრესა კვლავ აქვეყნებს ცნობებს, თუ რა საგანგაშო მდგომარეობა შეექმნა ზემო ასამში, სადაც მდინ

დაკარგული სახელი

რატომ ჩაქრნენ შუქურები?

მკითხველის თხოვნით სოფელ აბისში ვიყავი. საქმის გამო ერთ ოჯახშიც მოვხვედი.

საღამოხანი იქნებოდა. ოჯახის უფროსი, პაპა გიგო სახლის აივანზე ჩამომჯდარიყო და გატაცებით ესაუბრებოდა სამეზობლოდ მოსულ თანატოლს.

— პაპა, შაქრო, ძაან კანონი გამოვიდა არა?

— ღმერთმანი დიდად გამიხარა გული. ასე, მგონია, მკლავსა და მუხლში ძალა მომემატა-მეთქი.

— მეც ეგრე ვარ! — ეღიმება პაპა გიგოს.

ახლა ახეთ საუბარს ყველა სოფელსა და ოჯახში გაიგონებთ. სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებულმა კანონმა ხორცი შეასხა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის სისტემას. დიდად გაიზარდა მშრომელთა დაინტერესება საკოლმეურნეო წარმოებით.

პაპა გიგომ და შაქრომ სიხარული რომ ერთმანეთს გაუზიარეს, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს.

— „კარგი ვაქკაი სოფლის იმედიაო", არ გაგიგონია? — წამოიწყო პაპა გიგომ.

— როგორ არა!

— ბოდა, აი ჩვენს კოტეზე მინდა გითხრა.

— რომელ კოტეზე?

— კილასონიზე, კაცო! ხომ გახსოვს კოლმეურნეობაში სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ლაშქრობა რომ დაიწყო, პირველმა ოკისრა გადიდებული ვალდებულება და სიტყვა საქმით დაამშვენა.

— მახსოვს, როგორ არა!

— მაშ ისიც გემახსოვრება, რომ ზოგიერთს ეეჭვებოდა, ამდენი სიმინდი აქ ვის მოუყვანია, ეგ რომ კისრულობსო. მაგრამ სოფლის იმედი გაამართალა კოტემ. წინა წლებთან შედარებით შარშან სიმინდის უფრო უხვი მოსავალი მიიღო. ჰექტარ ნაკვეთს მოუარო ერთმა კაცმა და 107 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიყვანო პატარა საქმე როდია.

—მართალი ხარ, გიგო, — კვერი დაუკრა მეგობარს შაქრომ და განაგრძო: კოტე იმითაც არის დასაფასებელი, რომ მიმდევრები გაიჩინა. ახელ და შაქრო ლურსმანაშვილებიც შარშან თითო-თითო ჰექტარ სიმინდს უვლიდნენ და დიდად არც ისინი ჩამორჩენილან მასწავლებელს. ჰექტარზე ახელს 83,5 და შაქროს 82 ცენტნერი სიმინდი გამოუვიდათ მარცვლად.

კილასონიას შრომითს საქმიანობაზე სჯა-ბაასმა მეორე დღეს ქარელის კოლმეურნეობაში ბიორგი სიხაშვილის საქმიანობაც გამახსენა, იგი სტუმრად იყო ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ მექანიზატორ გიტალოვთან, რათა ახლოს გასცნობოდა მის მუშაობას. სიხაშვილი ერთ-ერთი პირველი შეუდგა რესპუბლიკაში კომპლექსური მექანიზაციით სიმინდის მოყვანას. პირველ წელსვე კარგ შედეგს მიაღწია.

— წელს რას აკეთებს სიხაშვილის მექანიზებული რგოლი? — ვიკითხე მე.

— ორმოც ჰექტარ სიმინდს უვლის მანქანებით, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხვთისო რაზმაძემ.

— ადრე ხომ მეტს უვლიდა!

— სარწყავში ვერ გამოვნახეთ ისეთი ფართობი, სადაც კვადრატულ-უდობრივად შეიძლებოდა დათესვა.

— ურწყავ მიწებში გამოგენახათ საამისო ფართობი!

— მერე და რას მივიღებდით!..

— იმას, რომ კოლმეურნეებს შეუმსუბუქებდით ხელით შრომას და შეამცირებდით პროდუქციის თვითღირებულებას.

თბილისის საქალაქო საბჭოს სესია

29 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეექვსე სესია.

სესია გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, დეპუტატმა **შ. ე. ბუხრაშვილმა.**

ღღის წესრიგის პირველ საკითხზე ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსმა, დეპუტატმა **ბ. გ. შურულიამ.**

ღღის წესრიგის მეორე საკითხზე საბინაო მეურნეობის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ქალაქის საბინაო სამმართველოს უფროსმა, დეპუტატმა **ვ. ი. ჩომახიძემ.**

თანამოხსენებანი გააკეთეს თბილისის საქალაქო საბჭოს კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის მდივანმა **ე. დ. გოგოტიძემ,** თბილისის საქალაქო საბჭოს საბინაო მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **მ. კ. ჭანტურიამ.**

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პირველი მაისის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **შ. ვ. თევდორაძემ,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბმეურნეობის სამმართველოს უფროსმა, დეპუტატმა **ვ. ვ. შუმლაძემ,** კიროვის რაიონალასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა **ვ. ტ. შუბლაძემ,** ლენინის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ა. ჭაბუკიანმა,** სახლმმართველმა **ვ. ვ. ბაზღაძემ,** კალინინის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ბ. ვ. ლვინიაშვილმა,** ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სანგასუფთავების კომბინატის უფროსმა **გ. გ. ნებიერიძემ.**

სესიამ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელება გაუმჯობესებს ქალაქის კეთილმოწყობის და საბინაო მეურნეობის სამუშაოებს.

შემდეგ სესიამ დაამტკიცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებანი ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მიწისქვეშა ნაგებობათა გაყვანისა და გარდაქმნის სამუშაოთა წარმოების წესების შესახებ.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლებული **ბ. ნ. გრიგალაშვილი.**

სესიამ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დაამტკიცა **ნ. ა. ყვანია.**

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით **გ. ლ. ბერიძე** განთავისუფლებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია **ვ. პ. გუგუნავა.**

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ვეტერინარული განყოფილება რეორგანიზებულია საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარულ სადგურად.

(საქდესი).



დღითიდღე შენდება და მშვენდება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ეს ფოტოსურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა საბურთალოზე გადაიღო.

საგარეჯოელთა თაოსნობის პასუხად

ყოველმხრივ ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა!

ახალციხელთა გადაწყვეტილება

ახალციხის საწარმოო სამმართველოს მშრომელები დიდი ინტერესით გაეცნენ საგარეჯოელთა მოწოდებას. ერთსულოვნად მოიწონეს მათი პატრიოტული თაოსნობა და დასახეს ღონისძიებანი მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის.

ახალციხის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში 21.200 ჰექტარი სახნავი მიწა აქვთ. აქედან 4.350 ჰექტარი გაყამრებული ნასვენი მიწაა.

რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შეისწავლეს სახნავი მიწების მდგომარეობა, საკითხი განიხილეს საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა კრებაზე და დასახეს ღონისძიებანი 1964-1965 წლებში აითვისონ 635 ჰექტარი ნასვენი მიწები, ხოლო 1970 წლამდე — 2.000 ჰექტარი.

ადიგენის მემოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს 1964-1965 წლებში აითვისონ 40 ჰექტარი ნასვენი, 1970 წლამდე კი 260 ჰექტარი, სულ 300 ჰექტარი მიწა. ქვისა და ბუჩქნარებისაგან გაასუფთაონ 300 ჰექტარი სათიბ-საძოვრები. გაიყვანონ 10 კილომეტრი შიდასამეურნეო გზები.

მოხის მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს 1964-1965 წლებში აითვისონ 200 ჰექტარი ნასვენი მიწები, ქვისა და ბუჩქებისაგან გაწმინდონ 200 ჰექტარი სათიბ-საძოვრები, ხოლო 800 ჰექტარ სათიბ-საძოვრებზე ჰერბიციდებით მოსპონ შხამანი მცენარეები. მეურნეობის ტერატორიაზე გაიყვანონ 7 კილომეტრი შიდასამეურნეო მნიშვნელობის გზები.

სოფელ პატარა პამაჯის კოლმეურნეები 1964-1970 წლებში აითვისებენ 20 ჰექტარ ნასვენ მიწას, ამოძირკვავენ ჯაგანარს 50 ჰექტარ სათიბ-საძოვრებზე. ფერდობებზე, სადაც მექანიზაცია არ ხერხდება, 7 ჰექტარზე დარგავენ კაკლის ხეებს. 10 ჰექტარს გაწმენდენ ქვისა და ბუჩქებისაგან. გაიყვანენ 5 კილომეტრ შიდასამეურნეო გზებს.

სოფელ უდის კოლმეურნეობის ვალდებულებაა 1964-1965 წლებში აითვისონ 35 ჰექტარი, ხოლო 1966-1970 წლებში — 65 ჰექტარი ნასვენი მიწა, ქვისაგან გაწმინდოს 100 ჰექტარი სათიბ-საძოვრები. 20 ჰექტარზე გააშენოს ტერასები და ტყე. გაიყვანოს 3 კილომეტრი შიდასამეურნეო გზები.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. რაიონში 1964-1970 წლებში ათვისებული იქნება 2.635 ჰექტარი ნასვენი მიწები, ქვისა და ბუჩქებისაგან გაიწმინდება 1.000 ჰექტარი სახნავი და 1.500 ჰექტარი სათიბ-საძოვრები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, ბაღებსა და ვენახებში გაყვანილი იქნება 50 კილომეტრი შიდასამეურნეო გზები.

ერთნაირი ნინაადგდგ მოეწყობა ტერასები, რითაც ათვისებულ იქნება კიდევ 70 ჰექტარი სავარგული, სადაც გაშენდება ტყე და ბაღები. ფერდობებზე განლაგებულ სახნავ-სათესებში მიწა დამუშავდება დაქანების გასწვრივ, ხოლო თავთავიანი კულტურები დაითესება 6-8 სანტიმეტრ სიღრმეზე ჯვარედინად.

სარწყავ ადგილებში დათესვისთანავე მოეწყობა რწყვა. სათიბ-საძოვრებზე და მრავალწლიან ნათესბალახებში პირუტყვის ძოვება მოხდება საძოვრების შენაცვლებით. ყოველივე ამით ეროზიისაგან დაცული იქნება ფერდობებზე განლაგებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების შესანახად მინდვრად აშენდება საწყობები, ხოლო მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სოფლებიდან დაშორებულ სახნავ-სათიბებში — დიდი და პატარა პამაჯი, ორალი, აბათხევი, სხვილისის და სხვ. აიგება ფარდულები.

ახალციხის საწარმოო სამმართველოს მშრომელები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ უახლოეს წლებში აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, რაციონალურად გამოიყენონ ყოველი ჰექტარი სახნავი მიწა და მკვეთრად გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

ს. ზაზაშვილი — ადიგენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; **ე. ლილუაშვილი** — მოხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; **ა. აგაბაბიანი** — პატარა პამაჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **დ. თათიანაშვილი** — უდის კოლმეურნეობის აგრონომი; **ვ. გოგიბერიძე** — ახალციხის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

დაკარგული ჩანაწერები

ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის უბნებზე ტვირთბიდვის ე. წ. საყრდენი სადგურების მოწყობის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მრეწველობის, ისე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის გამართული მუშაობისათვის და წარმოადგენს რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთზიდვაში მნიშვნელოვან სიახლეს, რომელიც ხელს შეუწყობს ტვირთზიდვით სახალხო მეურნეობის მომსახურების გაუმჯობესებას და გადაზიდვის ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის უბნებზე სატვირთო ოპერაციების წარმოებისათვის საერთო სარგებლობის გზებზე **თანდათანობით უნდა დავხუროთ მცირემოქმედების სადგურები, ხოლო ტვირთზიდვის მთელი მუშაობის კონცენტრაცია მოვახდინოთ 42 საყრდენ სადგურში.**

უნდა ითქვას, რომ ზოგი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები მცირე მოქმედების სადგურების გაუქმებისადმი უხალისობას იჩენენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიება გამოიწვევს რკინიგზის ტრანსპორტთან მათი ურთიერთობის გაუარესებას, მუშაობის გართულებას. მაგრამ ეს სწორი არ არის.

ჯერ კიდევ შარშან, 1963 წლის დამდეგს, საქართველოში რკინიგზაზე სატვირთო ოპერაციებისათვის გახსნილი იყო 133 სადგური, მათ შუა საშუალოდ 9,8 კილომეტრი მანძილით. ამ სადგურებიდან 33 არსებითად არავითარ სატვირთო ოპერაციას არ აწარმოებდა, 16 სადგურში დღეღამის განმავლობაში საშუალოდ ერთ ვაგონზე ნაკლებ ტვირთს ამუშავებდნენ, 35 სადგურში ტვირთავდნენ და გადმოტვირთავდნენ დღეღამეში საშუალოდ 1-5 ვაგონს, 12 სადგურში — 5-10 ვაგონს, ხოლო 37 სადგურში — 10 ვაგონს და მეტს.

ასეთ პირობებში, ცხადია, გაძნელებული იყო რესპუბლიკის მასშტაბით რეალიზაცია საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებისა იმის შესახებ, რომ დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები შეგვესრულებინა რკინიგზის ძალებით, ტვირთების ცენტრალიზებული მიტანით. ეს კი გადაზიდვის ორგანიზაციის ისეთი სისტემით მოწყობას მოითხოვს, რომ ასეთი გადაზიდვა გაწარმოოთ მხოლოდ იმ სადგურებზე, სადაც სატვირთო ვაგონების საღღეღამისო ბრუნვა 10 ვაგონი და მეტია.

სატვირთო სამუშაოთა შესრულება რკინიგზის ძალებით, ტვირთების ცენტრალიზებული მიტანა და გამოზიდვა გულისხმობს სატვირთო ოპერაციების მაქსიმალურ მექანიზაციას, მაგრამ რესპუბლიკაში იმდენი პატარა სარკინიგზო სადგურია მოძველებული სასაწყობო მეურნეობით, რომ მექანიზაციის დანერგვა ფერხდება, ხოლო ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც ხდება.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს სარკინიგზო სადგურებზე სატვირთო ოპერაციებისათვის საჭირო მექანიზმების რაოდენობა ერთიორად გადიდდა, თუმცა მექანიზმებით ტვირთგადამუშავების დონე მაინც ძლივს აღწევს 70 პროცენტს, რაც დამაკმაყოფილებელი არ არის. მცირე მოქმედების სადგურების აღჭურვა სატვირთო ოპერაციებისათვის საჭირო მექანიზმებით მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს გამოიწვევდა ამ სადგურებზე მექანიზმების გაცდენას, როცა ისინი სხვა სადგურებზე ფიდად საჭიროა, მათი გამოყენების ნაყოფიერება დაბალი იქნებოდა, ხოლო ტვირთგადამუშავების თვითღირებულება — მაღალი.

ამეკამად რესპუბლიკაში მცირე პარტიებით ტვირთების მიღება-გასაცემად გახსნილია 100 სარკინიგზო სადგური. მათ შორის არის ისეთი სადგურებიც, როგორიც, მაგალითად, ფრეკი, ოჩხამური, ალეთმეი, კაჭრეთი, ხობი და სხვები, სადაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მცირე ტვირთების არც ერთი პარტია არ ყოფილა არც მიღებული და არც გაცემული. სადგურ მერიასა და ჭალადიდში

საყრდენი სადგურები

და მათი ეფექტიანობა

გადამუშავებული ტვირთების საღღეღამისო მოცულობა არ აღემატება 10 კილოგრამს. რა საჭიროა ასეთ სადგურზე გვყავდეს ტვირთგადამმუშავებელთა სპეციალური შტატი — მწოლიარე, მოლარე და ა. შ.

ტვირთზიდვის საყრდენი სადგურები აღჭურვილი იქნებიან სასაწყობო ნაგებობებით, დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის საჭირო მექანიზმებით. ყველა სატვირთო ოპერაციას ამ სადგურებში — ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას, ავრეთვე ავტომანქანების დატვირთვა-გადმოტვირთვას, ტვირთების დანაწილებისამებრ გაგზავნას რკინიგზელები შეასრულებენ. საერთო სარგებლობის ცენტრალიზებული ავტოტრანსპორტით. ისინი გაუწევენ ტვირთების მიმღებთ და გამგზავნელთ სრულ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებას.

გამორკვეული და დადგენილია, რომ **საქართველოში მცირე მოქმედების სადგურების გაუქმების შემდეგ დარჩება 42 საყრდენი სადგური, მათ შუა საშუალოდ 31 კილომეტრი მანძილით.**

ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის სამართველომ და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა როსტოვის ინსტიტუტმა გამოიანგარიშეს, რომ თუ კრასნოდარის მხარეში სატვირთო ოპერაციების წარმოებისათვის დავხუროთ 23 მცირე მოქმედების სადგურს, ეს მოგვცემს 320 ათას მანეთზე მეტ ეფექტს ყოველწლიურად. ამ კალკულაციებმა გვიჩვენა, რომ მცირე მოქმედების სადგურში ერთი ტონა ტვირთის გადამუშავების თვითღირებულება 5-7-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე გადამუშავების საშუალო თვითღირებულება. ერთი ვაგონი ხე-ტყის გადმოტვირთვა მცირე მოქმედების სადგურში 25-30 მანეთი ჯდება, საყრდენ სადგურში კი — 5 მანეთი და 60 კაპიკი.

ჩვენი გამოანგარიშებით საქართველოში 42 საყრდენი სადგურის შექმნა, წინათ მოქმედი 133 კომერციული სადგურის ნაცვლად, **ჩვენს სახალხო მეურნეობას მისცემს დაახლოებით მილიონ-ნახევარ მანეთ ეკონომიას ყოველწლიურად.**

მართალია შექმნის თუ არა უხერხულობებს ნაკლები რაოდენობის სადგურებზე სატვირთო მუშაობის კონცენტრაცია? მოვიყვან მაგალითს:

სადგურ სკრის მახლობლად მდებარეობს სოფლის მეურნეობის საცდელი სადგური. გათვალისწინებულია რკინიგზის სადგურის სკრის დახურვა სატვირთო ოპერაციებისათვის, ხოლო სატვირთო ოპერაციების გადატანა სადგურ გორში. მაშასადამე, ავტოტრანსპორტით ტვირთების გადატანის მანძილი გაიზრდება 8 კილომეტრით, ხოლო რკინიგზით გადაზიდვის მანძილი შემცირდება დაახლოებით 4 კილომეტრით. ახლა საცდელი სადგურის მუშაკებს, მათი მისამართით ტვირთის მიღებისას, უხდებათ სადგურში მისვლა, ვაგონის საკუთარი ძალებით გადმოტვირთვა, ავტოტრანსპორტის მიყვანა, აგრეთვე საკუთარი საშუალებებით მისი დატვირთვა და წაღება. სამუშაოები, რასაკვირველია, სრულდება პრიმიტიული წესით, ხელით, და ოპერაციების თვითღირებულება, ცხადია, მაღალია.

მომავალში ტვირთების მისაღებად საცდელი სადგურის მუშაკებს არ დასჭირდებათ გორში წასვლა. ყველა სატვირთო ოპერაციას რკინიგზელები შეასრულებენ მექანიზმების საშუალებით, სახელმწიფო ფასდებათა მიხედვით და, ცხადია, ტვირთგადამუშავების თვითღირებულება ბევრად ნაკლები იქნება. ხელსაყრელობა აშკარა და სრულიად უეჭველია.

კიდევ უფრო ცხადია ის ხელსაყრელობა, რომელსაც ტვირთზიდვის ასეთი წესის დროს ნახავენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ხშირია ფაქტი, რომ კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის სახელზე რკინიგზის სადგურში მოდის მინერალური სასუქი. გადმოტვირთავენ ხოლმე ვაგონიდან ღია ცის ქვეშ, ყრია ეს სასუქი, თავის ღირსებას კარგავს და ამით სახელმწიფოს დიდი ზარალი მოსდის. ნურას ვიტყვით იმ ჯარიმების შესახებ, რასაც ტვირთის მიმღები რკინიგზას უხდიან ვაგონების გაცდენისათვის და ტვირთის გაზიდვის დაგვიანებისათვის.

ეს იმიტომ ხდება, რომ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გახურებული ალოს დროს არ შეუძლიათ მუშახელი საქმეს მოსწყვიტონ და ვაგონების გადმოსატვირთავად გაგზავნონ, ხოლო გადმოტვირთვის შემდეგ ავტოტრანსპორტი ეძებონ ტვირთის წასაღებად.

ახლა ეს მდგომარეობა ადარ იქნება. სასუქი დაუყოვნებლივ გადმოტვირთება ვაგონებიდან „საქსოფლტექნიკის" საწყობებში, სადაც მას ჯეროვნად შეინახავენ და შემდეგ გაუგზავნიან სათანადო კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ცენტრალიზებული წესით. ყველა სხვა ტვირთიც (ხე-ტყე, საშენი მასალები, მანქანები და ა. შ.), რომელსაც რკინიგზის სადგურებში სოფლის მისამართით მიიღებენ, რკინიგზა გადმოტვირთავს, დატვირთავს და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომობილებით გაუგზავნის აღრესატს.

როცა ლაპარაკია მცირე მოქმედების სადგურების დახურვაზე, რასაკვირველია, იგულისხმება თვითონ სადგურის ლიანდაგებსა და საწყობებში სატვირთო ოპერაციების შეწყვეტა, თორემ მგზავრების მიღება-გამგზავრება, ბარგის მიღება-გაცემა შეუფერხებლად იწარმოებს. მეტიც, თუ მცირე მოქმედების სადგურთან მრეწველობის საწარმოთა მისასვლელი ლიანდაგებია, აქაც ამ ლიანდაგებისა და ჩიხების მომსახურება ჩვეულებრივი წესით იწარმოებს.

ზემდგომი ორგანოების ეს გადაწყვეტილება რკინიგზაზე ტვირთზიდვის განვითარების სწორ გეზს გვასახავს, მაგრამ თბილისის, ნავთლუღის, ქუთაისის, სოხუმისა და მთელ რიგ სხვა დიდ საკვანძო სადგურებში ტვირთების ცენტრალიზებული შეზიდვისა და გამოზიდვის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ პროგრესული წესით ტვირთზიდვის მოსაწყობად ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული. ავტოტრანსპორტის მუშაკები უნარიანად ვერ ახდენენ გადასაზიდავი რესურსებით მანევრირებას, როცა საჭიროა, ვერ ახერხებენ საწყობებში ავტომანქანების მეტი რაოდენობით გაგზავნას, და ამის შედეგად ზოგჯერ სადგურებში, როგორც, მაგალითად, ამეკამად თბილისის სატვირთო სადგურში, ტვირთები დიდი რაოდენობით გროვდება.

ვერც სადგურების მუშაკები და ტვირთმიმღებები ეტევიან დროის იმ ნორმაში, რომელიც დაწესებულია ავტომანქანების დასატვირთავად და დასაცლელად, ხოლო რკინიგზის ბევრი კლიენტი, მიუხედავად საკავშირო მთავრობის სპეციალური დადგენილებისა, ჯიუტად გაფურბის მეორე და მესამე ცვლაში მუშაობას.

რკინიგზის ტრანსპორტზე სატვირთო ოპერაციების საყრდენი სადგურების შექმნა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. მისი წარმატებით გადაწყვეტით უწინარეს ყოვლისა უნდა დაინტერესდნენ სამრეწველო საწარმოები და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები.

ამიტომ რკინიგზელებს რესპუბლიკაში ამ დიდმნიშვნელოვანი საიახლის განხორციელებაში ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ ტერიტორიულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ბ. ქადაგიძე.
ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი.

სიახლე ტვირთზიდვაში

რკინიგზის ტრანსპორტზე

სასკოლო მშენებლობა — დამკვრელური უგანი

გელით, ბავშვებო!

დუშეთის რაიონის სოფელ სონდისელის რვაწლიანი სკოლა (დირექტორი გ. ხუციურაული) მაღალმთიან და ძნელად მისადგომ ადგილას მდებარეობს, მიმკვეთი ხორხის ნეობის ჭალას და უეცრად ერთ შშვენიერ მდელოზე თვალწინ წარმოგიდგება კოხტად ნაგები ორსართულიანი შენობა. ეკი სკოლას ეკუთვნის. მის წინ ეზოში ამაყად ალმართულან საუკუნეგამოვლილი ათობით კაკლის ბუმბერაზი ხეები. ეს წარმტაცი ბუნება უფრო მიმზიდველს ხდის სკოლას და მის ეზოს, იი ამ ლამაზ მიდამოში, ამ ზურმუხტ მთა-ბარში ნორჩები ეუფლებიან მეცნიერების საფუძველს. ახლა სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის ემზადება.

სკოლის რემონტი იკისრა დუშეთის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა (დირექტორი ა. ჯერგალიძე). 15 ივლისისათვის რემონტი მთლიანად შესრულებული იყო. სკოლის 12 ოთახი საგულდაგულოდ შეკეთდა, შეილესა, შეთეთრდა; ასევე შეაკეთეს სასკოლო ინვენტარიც. ახლა აქ კომბინატი კიდევ ორ ოთახს უშენებს სკოლას. მშენებლობა სწავლის დაწყებამდე დამთავრდება. პირველ სექტემბერს მოსწავლეები კიდევ ორ კეთილმოწყობილ ოთახს მიიღებენ. სკოლაში მოიტანეს და მოსწავლეებს მისცეს ზოგიერთი სახელმძღვანელო.

— გელით, ბავშვებო! — სტუმართმოყვარულად ღიღებს კარს ხორხის სკოლა.

ვ. ხუციურაული,
სოფლკორი.

შრომა და სიხარული

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში, წარმატებით მიმდინარეობს საშუალო სკოლის სამსართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობა, რასაც ლანჩხუთის რაიონის მშენებლობის საბჭო ხელმძღვანელობს.

მშენებლობაზე ყოველდღიურად მუშაობს 25-30 კაცი — მლესავები, დურგლები, მეფუნუქეები, ელექტრიკოსები.

აცანის საშუალო სკოლა 440 მოსწავლისათვის არის განკუთვნილი. მოსწავლეებს ექნებიან დიდი, ნათელი ოთახები, სასწავლო კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი. ამჟამად მიმდინარეობს შენობის შიდა სამუშაოები, სკოლის ეზოში მთავრდება წყლის აუზის მშენებლობა. სკოლაში 1 სექტემბერს დაიწყება ზარი. საინტერესოა, რომ ეს დაემთხვევა აცანაში სკოლის გახსნის მე-100 წლისთავს.

ი. ჩხაიძე,
სოფლკორი.

ვარდისუბანში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას ვარდისუბანში ახალი სასკოლო შენობის აგების შესახებ კოლმეურნეები სიხარულით შეხვდნენ. გურჯაანის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (მმართველი შ. ცისკარაშვილი) მუშაკებმა ვარდისუბანში დიდძალი ქვა, ქვიშა, აგური, ხე-ტყის მასალა მოიტანეს, მშენებლობა დაიწყეს. მას შემდეგ ერთი წელიც არ გასულა და სკოლის აგება დასასრულს უახლოვდება.

იქნება თუ არა მზად სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის? — იქნებაო, ამბობენ, და ჩვენც გვჯერა, მაგრამ გულდამშვიდება საქმეს ავნებს. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

„კომუნისტის" საგუშაგო ყვარლის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის მშენებლობაზე: **გულო ზოზიაშვილი** — კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანი; **ვაშა კაპანაძე** — კომკავშირის კომიტეტის მდივანი; **ივანე ბაკაშვილი** — მერგოლური; **გრიგოლ კაკაბაძე, მიხეილ კირკვალიძე** — კოლმეურნეები.

კიდევ ოთხი ოთახი

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხეფიეთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. ოჩიბავა) გადაწყვიტა გაეფართოებინა საშუალო სკოლის შენობა. ახლა აქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ოთხი ახალი საკლასო ოთახის მშენებლობა, ახალ სასწავლო წელს ბავშვებს სპორტული დარბაზიც ეძებათ.

ივ. თოფურია,

მკითხველებს გვწერენ

კეთილარი დღეს

ჩვენს სოფელში ამ ბოლო ხანს ბევრი საგულისხმო რამ გაკეთდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის გამშვენიერებას, გზის გაკეთებას. ჩვენი სოფლის გზაზე სტუმარი რომ გამოჩნდებოდა, პირდაპირ გვრცხვენოდა. ახლა სოფელმაც იყოჩაღა და ხელმძღვანელობაც დაგვეხმარა.

გზა გავაკეთეთ, სინათლე გამოვიყვანეთ. ავაშენეთ პურის საცხობი. ახლა ჩვენს სოფელში რაიონის ცენტრიდან ორი ავტობუსი დადის. ბევრი რამ კეთდება მოსახლეობის მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ნ. ბაქაძე,
ლანჩხუთის რაიონი, სოფელი კეთილარი.

ფეიქრები ისვენებენ

ცხაკაიას რაიონის საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები შვებულებას ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე ატარებენ. ახალ ათონში დაისვენეს მქსოველებმა ე. ბარამიამ და ე. ფაჩულიამ. უწერაში ისვენებს მქსოველი გ. ინანიშვილი. გუდაუთის ბავშვთა სანატორიუმში და სხვა პიონერთა ბანაკებში ისვენებენ ფეიქართა შვილები.

მეგობრობის მატარებლით კიევში, მინსკში, ვილნიუსში, კაუნასში, რიგაში, ტალინში, მოსკოვსა და ლენინგრადში იმგზავრეს დ. მიქაძე, რ. გუნიამ, ნ. ხუნწარიამ და სხვებმა.

ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკის 15-მა მუშა-მოსამსახურემ დაისვენა რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე, მქსოველმა შ. გრიგოლავამ ქობულეთში. სოხუმში დაისვენეს ზეინკალმა ჯ. კინწურაშვილმა, მხვეველმა თ. კუპრეშვილმა და სხვებმა. მეხალიჩეთა 25 ბავშვი ისვენებს წყდვირსა და ახალდაბაში.

ნ. გიორგაია,
ცხაკაია.

ᲕᲘᲜ ᲣᲤᲠᲔᲕᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 28 ივლისი. (საკდესი). კანცლერ ერჰარდის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის—ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის ხელმძღვანელობაში, რომელსაც მეთაურობენ ადენაუერი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი შტრაუსი, ხელში იგდებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საიდუმლო სამსახურისადმი კონტროლს, განაცხადა დასავლეთ გერმანიის ჟურნალმა „შტერნმ“. სტატიაში „ყველა ძაფი შტრაუსთან წყდება. კანცლერი მოწინააღმდეგეებს უთმობს საიდუმლო სამსახურს“. ჟურნალი წერს, რომ „სრული საიდუმლოების“ ვითარებაში ბონის შინაპოლიტიკურ სცენაზე საოცრად შეიცვალა ძალთა შეფარდება: საზოგადოებრიობისათვის შეუმჩნეველად კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალური სამსახური — გენერალ გელენის სადაზვერვო სამსახური დაუქვემდებაროს განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრის პაინრიხ კრონეს კონტროლს.

კანცლერმა, აღნიშნავს „შტერნი“ უარი თქვა ფედერალური სადაზვერვო სამსახურის კონტროლზე სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის უსიტყვო თანხმობით. ამ უარს, განაცხადა ჟურნალმა, შეუძლია შეასუსტოს კანცლერის პოზიციები. პირიქით, მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, და უწინარეს ყოვლისა შტრაუსი, ხელთ იგდებენ გადამწყვეტ საკვანძო პოზიციას. დღეიდან მათ შეუძლიათ საიდუმლოდ ადევნონ თვალყური თვით კანცლერსაც, რომელიც უკვე ხელს უშლით.

ამასთან დაკავშირებით „შტერნი“ აღნიშნავს, რომ სადაზვერვო სამსახურის შემადგენლობაში შედის „დაახლოებით ხუთი ათასი კაცი მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ბლოკში“.

როგორც შემდეგ ჟურნალი აღნიშნავს, მოვლენათა ასეთ განვითარებასთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთება შეიმჩნევა ამერიკის საიდუმლო სამსახურთა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა შორის, რომლებიც ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებენ. ამერიკელებს, წერს ჟურნალი, რომლებიც 1945 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობენ გელენთან, ახლა ეშინიათ, რომ ეს სამსახური კონრეს კონტროლით სხვა გზით წარმართოდეს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ ეშინია, რომ მომავალში ფედერალური სადაზვერვო სამსახური მათთან კი არ ითანამშრომლებს, არამედ საფრანგეთის საიდუმლო სამსახურთან.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 ივლისი. (საკდესი). **დღეს 34 კილომეტრზე საიგონის სამხრეთით სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა ნაღმით აფეთქეს ამერიკული ავტომანქანა. ავტომანქანაში მყოფი სამი ამერიკელი ოფიცერი დაიხოცა. ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ერთი ოფიცერი მოკლეს დღეს პარტიზანებთან შეტაკების დროს 16 კილომეტრზე საიგონის ჩრდილო-დასავლეთით.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲛᲔᲓᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲜᲐᲓᲐᲠᲝᲜᲘ, 26 ივლისი. (საკდესი). **გუშინ სომალის რესპუბლიკის სამხრეთის პატარა ქალაქ უოჯიდაში გაიმართა პოსპიტლის გახსნის ცერემონია. ეს პოსპიტალი საბჭოთა კავშირმა აუშენა სარჩულად სომალიელ ხალხს.**

უოჯიდას პოსპიტალი მესამე ობიექტია, რომელიც საბჭოთა კავშირმა სარჩულად აუშენა სომალიელ ხალხს.

ახალ პოსპიტალს ერთდროულად 50 ავადმყოფის მიღება შეუძლია. აქვე არის ამბულატორია. პოსპიტალი აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით. სომალის მთავრობის თხოვნით საბჭოთა კავშირმა ამ პოსპიტალში გაგზავნა საბჭოთა ექიმები. უოჯიდას პოსპიტლის გახსნის ცერემონია სსრკ-სომალის მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲘᲛᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲥᲢᲘᲗ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ ლუკავაცში საექსპლოატაციოდ გადაეცა მესამე საკოქსი ბატარეა, რომელიც დააპროექტეს საბჭოთა სპეციალისტებმა. იგი აუშენეს საბჭოთა და იუგოსლავი ინჟინრების ხელმძღვანელობით. ამით დამთავრდა ბორის კიდრიჩის სახელობის კოქსქიმიური კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა.

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲔᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘ

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲗ გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ბატლერი და რომ მათ შორის გაიმართა საუბარი. დასავლეთის პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა გამოთქვა სურვილი გააუმჯობესოს ურთიერთობა ინგლისთან. ინგლისის მეფე რიგი გაზეთების საკუთარ კორესპონდენტთა ინფორმაციებში აღნიშნულია, რომ განხილულ საკითხთა შორის იყო საკითხი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

საზღვარგარეთის პრესა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ლ. ერჰარდისა და გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის ა. ი. აჯუბეის შეხვედრას ბონში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ გაზეთები კვლავ ფართოდ აშუქებენ წინასაარჩევნო ბრძოლას. პრესა ხაზს უსვამს გოლდუოტერის განცხადებას იმის შესახებ, რომ მას სურს „დისპუტი გამართოს ტელევიზიით“ პრეზიდენტ ჯონსონთან.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტახნის წინათ გოლდუოტერს თვითონვე მიაჩნდა საეჭვოდ ასეთი „დისპუტის“ მიზანშეწონილობა. გაზეთი აღნიშნავს: ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები შიშობენ, რომ „ცხარე პოლემიკის დროს სენატორმა არ გამოამჟღავნოს ისეთი რამ, რომელიც გავლენას მოახდენს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებაზე.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ გაზეთები ბეჭდავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ 29 ივლისს თემთა პალატა განიხილავს „ფერანტის“ ფირმასთან დაკავშირებულ საკადალს. ამ ფირმამ უაღრესად დიდი მოგება მიიღო მთავრობის შეკვეთებიდან რაკეტების წარმოებაზე. **„დეილი მეილი“, „დეილი პერალდი“** და სხვა გაზეთები აკრიტიკებენ როგორც „ფერანტის“ ფირმას, ისე სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ გაზეთები კვლავ განხილავენ მთავრობის გადაწყვეტილებას 1 აგვისტოდან ტელეფონითა და ტელეტაიპით სარგებლობის ქირის გადიდების შესახებ. **„დი ველტი“** წერს, რომ ბუნდესტაგს, რომელიც შეიკრიბება საგანგებო სხდომაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონების შესაბამისად, არ შეუძლია შეცვალოს მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებანი. მას შეუძლია მხოლოდ ფედერალურ მთავრობას გაუგზავნოს „დასაბუთებული რეკომენდაცია, რომელიც, სავალდებულო არ არის მთავრობის მეთაურისათვის. **„ფრანკფურტერ-ალგემაინეს“** მიაჩნია, რომ კავშირგამბულობის საშუალებათა ტარიფების გადიდების შესახებ საკითხის განსახილველად საჭირო არ იყო პარლამენტის საგანგებო სხდომის მოწვევა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ გაზეთები თვალსაჩინო ადგილს უთმობენ ცნობებს პრემიერ-მინისტრ იკედას მომავალი შეხვედრის შესახებ რიუკიუს კუნძულებზე ამერიკის უმაღლეს კომისართან.

„ასახი“ აღნიშნავს, რომ „იაპონიას სურს გააფართოოს თვითმმართველობა და უფრო სტაბილური გახადოს მდგომარეობა ოკინავაში“. გაზეთი წერს, რომ ამერიკის ხელისუფლები გამუდმებით ერევიან ოკინავის საშინაო საქმეებში.

ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ გაზეთმა **„ტრიბუნა ლუდუმ“** გამოაქვეყნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტის ინტერვიუ იმასთან დაკავშირებით, რომ ამას წინათ მოსკოვში დაიდო სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ გაზეთები ბეჭდავენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ბულგარეთში სახალხო გასათლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ გაზეთები ბეჭდავენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბელგრადში გაიმართა მოლაპარაკება იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირისა და იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაციებს შორის. (საკდესი).



ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ�გᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠᲘ ᲐᲚᲛᲘᲗ

ᲑᲝᲜᲘ, 28 ივლისი. (საკდესი), **ამუამად მადრიდი და ვაშინგტონი ამზადებენ ხელშეკრულებას, რომელიც საშუალებას მისცემს ამერიკელებს არა მარტო განალაგონ როტის სამხედრო-საზღვაო ბაზაში ატომური წყალქვეშა ნავები, არამედ იქვე შეინახონ ატომური მუხტიანი რაკეტები „პოლარისი“, იტყობინება დღეს დასავლეთ გერმანიის გაზეთის „დი ველტის“ კორესპონდენტი მადრიდიდან.**

ესპანეთის როტის ბაზას კორესპონდენტი უწოდებს „ამერიკის ნავსადგურს ესპანური ალმით“.

როგორც გაზეთი „დი ველტი“ ამ ცნობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, ფრანკოს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს აძლევს თავის ნავსადგურს, როგორც ბაზას ატომური წყალქვეშა ნავებისათვის, რომლებიც „პოლარისის“ რაკეტებით არის აღჭურვილი ნაცვლად სურს მიიღოს შეერთებული შტატების დახმარება თავისი „სამხედრო-საზღვაო პროგრამის“ განხორციელებისათვის.

ᲐᲠᲐᲡᲐᲜᲣᲒᲔᲨᲝ ᲒᲐᲚᲐᲜᲡᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 28 ივლისი. (საკდესი). ბულგეთში მოხალშეობის პოლიტიკამ და უცხოეთის დახმარების იმედმა, რომლის უდიდესი წილი იხარჯება სამხედრო მიზნებისათვის, აგრეთვე სხვა არამწარმოებლურმა ხარჯებმა გამოიწვია სერიოზული ფინანსური სიძნელეები თურქეთში. მიმდინარე წელს მარტო ვალების დასაფარავად თურქეთმა უნდა გადაიხადოს 134 მილიონი დოლარი. 1965 წელს ეს ციფრი 212 მილიონ დოლარამდე გაიზრდება. ეს კი იმ თანხის ნახევარზე მეტია, რასაც თურქეთი თავისი ექსპორტისაგან იღებს. სპეციალისტებმა იანგარიშეს, წერს გაზეთი „ხიურიეტი“, რომ ყველაფერი თუ კარგად იქნა, თურქეთი მხოლოდ 38 წლის შემდეგ გადაიხდის უცხოეთის სახელმწიფოთა ვალს. „ჩვენ,— ირონიით აღნიშნავს გაზეთი“, — ერთი ხელით ავიღებთ, მეორეთი კი გავცემთ იმას, რაც პირველი ხელით ავიღეთ“.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 ივლისი. (საკდესი). **დღეს კენედის კონცხიდან (ფლორიდის შტატი) მთვარის მიმართულებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „რეინჯერ-7“. ხომალდზე არის სპეციალური ტელეკამერატურა. ნავარაუდევია ამ აპარატურით ახლო მანძილიდან გადაიღონ და დედამიწაზე გადმოსცენ მთვარის ზედაპირის ფოტოსურათები.**

ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ წყნარი, მზიანი დღე მიდგომის განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა. ყოველთვის გამონახავდა ისეთ სიტყვებს, რითაც აღაფრთოვანებდა დაღლილებს და მოზღვავებული ენერგიით ჩააბამდა შრომაში.

გადიოდა დღეები... ჯიქია ვოლხოვმშენის სული და გული, აკადემიკოს გრაფტიოს მარჯვენა ხელი გახდა. სახელგანთქმული მეცნიერი განცვიფრებული იყო ქართველი სპეციალისტის ნიჭით და შემართებით, დაბრკოლების დაძლევის სწორი პოვარი უნარით. ალბათ ამით აიხსნება, რომ იგი შვილივით შეიყვარა მეცნიერმა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ისინი განუყრელი მეგობრები დარჩნენ.

მშენებელთა გმირულმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. 1926 წლის 19 დეკემბერს მწყობრში ჩადგა ელექტროსადგურის პირველი აგრეგატები. ლენინის ძარღვებში გადასროლილ იქნა ძალა ელექტროენერგიისა.

გრანდიოზული გამარჯვება! მაგრამ ეს ვერ აოკებს ვლადიმერ ჯიქიას ანთებულ გულს.

ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ მმართველოს უფროსად. იქ ჯიქია კარგად მუშაობდა, მაგრამ სიფიცხით პატარა კონფლიქტი მოუვიდა ამხანაგებთან — და აღარ გაჩერდა. სთხოვა პარტიას ნება დაერთო სამეურნეო მშენებლობაში ჩაბმულიყო. ელექტროსადგურები მინდა ვაშენოო.

ასე გააცნო სტუმარმა მასპინძელს ვლ. ჯიქია, პროფესიონალი რევოლუციონერი, პარტიის წევრი 1913 წლიდან.

ვლადიმერ ჯიქიამ მხრები გაშალა ვოლხოვჰესის მშენებლობაზე. იგი ჩვეული ენთუზიაზმით ეკიდა საქმეს და მუდამ მშენებლობის ტრასაზე ტრიალებდა, მუშებს შორის, ისე, როგორც ფრონტზე ცეცხლის წინა ხაზზე — ჯარისკაცებთან. მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს პრაქტიკულად აჩვენებდა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინათ ესა თუ ის საქმე. მას ადამიანებთან მიდგომის განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა. ყოველთვის გამონახავდა ისეთ სიტყვებს, რითაც აღაფრთოვანებდა დაღლილებს და მოზღვავებული ენერგიით ჩააბამდა შრომაში.

...მე კარგად ვიცნობ ამხ. ჯიქიას, აშბობს სტუმარი. უფრო მეტიც, მას კარგად იცნობდა ვლადიმერ ილიჩი და დიდ პატივს სცემდა მის სახელერო ნიჭსა და ორგახიზტორულ უნარს. ამხანაგმა ჯიქიამ სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში დიდი უნარი და ენერგია გამოაჩინა წითელი არმიის საარტილერიო ნაწილების შექმნისა და გაწვრთნის საქმეში; მოაწყო შეთაურთა მოსამზადებელი კურსები და შემდგომი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პეტროგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო სასწავლებლებს.

მახსოვს, 1918 წლის სექტემბერში, როცა საბჭოთა ხელისუფლების ბედი რუსეთში ბეწვზე ეკიდა, გამოშვებულ იქნა პირველი 400 კურსდამთავრებული — წითელი მეთაური. როგორ გაუხარდა ეს წარმატება ლენინს. აღფრთოვანებულმა ილიჩმა დეპეშა გაუგზავნა და გულწრფელად მიეფლოცა ამხანაგ ჯიქიას, როგორც პეტროგრადის საოლქო. სამხედრო კომისარს, ეს დიდი გამარჯვება.

ჯიქია თავგანწირვით იბრძოდა ლენინგრადის ფრონტის უბნებზე. მან, როგორც პეტროგრადის ჯარების სარდლის მოვალეობის შესრულებელმა, 1921 წლის მარტში შეიმუშავა და ბრწყინვალედ განახორციელა კრონშტადტის აჯანყების ციხე-სიმაგრის აღების გეგმა; მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრონშტადტის ანტისაბჭოთა ამბოხების ჩაქრობაში. ამ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისთვის იგი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა. ილიჩმა მაშინ სურათი გადაიღო ბრძოლების მონაწილეთა ერთ ჯგუფთან. მათ შორის იმყოფება თვით ამხანაგი ჯიქია, თუ არ ეცდეთი, იქ ჯიქია დგას ამხანაგ ეორეშილოვის გვერდით, ლენინის უკან.

1922 წლის გაზაფხულზე ლენინის ინიციატივითა და მითითებით ამხ. ჯიქია, როგორც გამოცდილი პარტიული და საბჭოელი მუშაკი, გაგზავნილ იქნა საქართველოში ეროვნული ქართული წითელი არმიის შესაქმნელად და მოსამზადებლად. იგი დაინიშნა საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად და ამავე დროს მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებელთა საქართველოს უფროსად. ჯიქიას კავკასიის წყალსაცავი მდინარეების ენერგეტიკული რესურსების ხალხის სამსახურში ჩაყენების დიდი საქმე მიანდეს, იგი დაინიშნა ამიერკავკასიის პიდროელექტრომშენებლობის უფროსად. პროექტები, ნახაზები, გაანგარიშებანი... სახელმოხვეჭილმა ენერგეტიკოსმა უწინარეს ყოვლისა ყურადღება მდინარე რიონს მიაპყრო. ქუთაისის ელასიეურ გიმნაზიაში სწავლის დროს ხიბლავდა მას აზვირთებული რიონი. ჯერ კიდევ მაშინ, მის ნაპირებთან გაუმხილა გიმნაზიელ მეგობრებს — ტიციან ტაბიძეს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ესენი კავკასიის და პაოლო იაშვილს მტკიცედ გადწყვეტილი გულისნადები: დაუფლებოდა მეცნიერებას, რითაც შეძლებდა ამ მდინარის ენერგიის სინათლედ გადაქცევას...

წითელი დროშის ორდენის კავალერი, ვოლხოვჰესის მშენებლობის დიდი გამოცდილების მქონე, შეიარაღებული სამეცნიერო და საზღვარგარეთის ელსადგურების მშენებლობის თეორიითა და პრაქტიკით (ამ დროისათვის მან უკვე ორგზის იმოგზაურა ინგლისში, შვეიცარია და გერმანიაში. გაეცნო იქ ჰესების მშენებლობის გამოცდილებას) — ვლადიმერ ჯიქია რიონშია. იგი დაინიშნა რიონჰესის მშენებლობის უფროსად.

ფართო და მრავალმხრივი იყო ვლ. ჯიქიას მოღვაწეობა რიონჰესის მშენებლობის პერიოდში: იგი ქართველი ინჟინრების ერთ ჯგუფთან ერთად სწავლობს და იკვლევს რიონისა და მისი შენაკადების ელსადგურებისათვის გამოყენების შესაძლებლობებს, მაშინ მოისახა გუმათპეხისა და ლაჯანურჰესების პროექტები. შორეული კონტურები. პარალელურად ამუშავებს მდინარეების: ხრამის, იორის, ალაზნის გიგანტური ენერგიის ხალხის სამსახურში ჩაყენების პროექტებს — ამ საკითხებზე ხშირად ათავსებს რესპუბლიკურ პრესაში საინტერესო სტატიებს და წერილებს.

ვლ. ჯიქია ცხოველ ინტერესს იჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხისადმი: შეუნელებლად ზრუნავს სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობაზე, კულტურისა და არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციისა და დაცვაზე, ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაზე.

მაგრამ სად იყო ყოველივე ამისათვის საჭირო საქმარისი თანხები? ჯიქიამ მშენებლობაზე შაბათობების მოწყობა დაიწყო. დაიწესა მეაცრი ეკონომია, განახორციელა სამუშაოთა სამაგალითო ორგანიზაცია და სახსრების ყაირათიანი ხარჯვა. ათეულ ათასობით მანეთი იქნა დაზოგილი. ეს თანხა მან საზოგადოებრივ საქმეებს მოახმარა: ქუთაისში აგებულ იქნა ოთხსართულიანი კეთილმოწყობილი სასტუმრო, რომელიც ახლაც ერთ-ერთ საუკეთესო არქიტექტურულ ნაგებობად ითვლება ქალაქში. მოაასფალტა და მოკირწყლა ქალაქის ქუჩები, ქალაქის საავადმყოფოებს შეუძინა ახალი სამედიცინო ინვენტარი და მოწყობილობა, განახორციელა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა და გელათის მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოები, დახმარება გაუწია ქუთაისის ახლო მდებარე სოფლებს გზების, ხიდებისა და სკოლების მშენებლობაში.

დაზოგილი თანხის მნიშვნელოვან ნაწილს ვ. ჯიქია ახალგაზრდა ტექნიკური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს ახმარს. აწყობს სხვადასხვა სახის კურსებს და გზავნის კადრებს საწარმოო მივლინებაში ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ მშენებლობებზე.

თავდადებული მამულიშვილი მწვავედ განიცდიდა სამგორის გადამწყარი მინდორების ბედს. ამიტომაც გულდასმით სწავლობს სამგორის მოორყვის პრობლემას. ინჟინერ ბესარიონ ერისთავთან (ახლა მოსკოვის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სინჟინერო-სამშენებლო ინსტიტუტის პროფესორი) და მოსკოვიდან მის მიერ სპეციალურად მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად რამდენჯერმე შემოიარა სამგორის გადატუსული ველები და შეადგინა სათანადო განმარტებითი ბარათი მთავრობაში წარსადგენად.

1934 წლის 30 ივლისისათვის დაინიშნა რიონჰესის საზეიმო გახსნა. ათეულ ათასობით მშრომელი მოაწყდა რიონჰესს. ყველას სურს მონაწილეობა მიიღოს სახალხო ზეიმში. ელექტრობით გაგურების მთელ კომპლექსს და სინათლეს ორ მოვაკლეთ თბილისს, ერევანს, ბაქოს... მაგრამ მე სხვა რამ მაწუხებს, მეგობრებო, ენგური!.. რა ძალა, რა ენერგია გვეკარგება უმიზნოდ.

ამ პერიოდში ვლადიმერ ჯიქიას მისი დიდი მასწავლებლები და მეგობარი აკადემიკოსი გრაფიტიო ეწვია. ყველაფერი და ყოველივე დეტალურად დაათვალიერეს, გულითადად ისაუბრეს.

— ახლა, ძვირფასო ჰენრიხ ოსიპოვიჩ, ჩემს მშობლიურ ზუგდიდშიც უნდა მეწვიოთ. აგერ რამდენჯერმე ჩამოსულხართ, და არ იქნა და არა. ახლა კი ეს აუცილებლად უნდა მოხდეს.

— ზუგდიდი... ჯვარი. — ეს აქედან სვანეთი იწყება, მგონი. არა, ვლადიმერ გაბრიელის-ძეო?

— აი სწორედ აქ ვეარაუდობ ამ მთების ოდესა კედლის აღმართვას. შეიქმნება უზარმაზარი, მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელოვნური წყალსაცავი. მუშაობელის საკითხი არ მაშინებს. გარწმუნებთ — მშენებლობის ამბავს როგორც კი შეიტყობს ჩვენი ხალხი, ახალგაზრდობა, ქუდზე კაცი გამოვა სამუშაოდ...

ის საღამო უკანასკნელი წლების ყველაზე ბედნიერი საღამო იყო. იმსჯელეს, ალაპარაკეს, რაც აუწუხებდა.

ვლ. ჯიქია შეუნელებლად ზრუნავდა ახალგაზრდა პიდროენერგეტიკოსთა კადრების აღზრდაზე.

ქრისტეფორე ანდღულაძე და გიორგი ბოლქვაძე, ბესარიონ ერისთავი და ძირიან ებრალიძე, ივიკლი ობოლაძე და ალექსანდრე მკავანაძე, შუშანიკ ყიფლანი და პავლე შეხველია, გიორგი ჩოგოვაძე და ვალერიან ჩუბინიძე, პეტრე წულუკიძე და გალაქტიონ ჯიმშელეიშვილი, შალვა ცაგარელი და ალექსი ბოლქვაძე — ეი მთელი პლეადა სახელოვანი ჰიდროენერგეტიკოსებისა, რომლებმაც დიდი ქართველი ინჟინრის — ვლადიმერ ჯიქიას სკოლის კეთილმყოფელი გავლენა განიცადეს. დღეს ბევრი მისი აღზრდილი და გამოწრთობილი ენერგეტიკოსი ჰესების დამპროექტებლები და მშენებლები, ინსტიტუტების ხელმძღვანელები, პროფესორები და მეცნიერებათა დოქტორები არიან.

ვ. ჯიქია მხარში ედგა ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მასთან სამუშაო საათების შემდეგ ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, და პოეტები, მეცნიერები და მსახიობები პარტიული მუშაკები და ინჟინრები, ყველა, ვისთანაც სახელოვან მამულიშვილს ქვეყნის უკეთეს აწყოსა და მომავალზე ფიქრი აკავშირებდა.

ვლ. ჯიქია, რომელიც მუდამ ცეცხლის წინა ხაზზე იყო, რომელსაც ვერ მისწვდა ტყვია ან ქარაშხალთან ენერგეტიკა, ვერ გადაუჭრა ტრაგიკული 1937 წელს. მუხანათურად შეუწყვეტეს მაჯისცემა მგზნებარე ბოლშევიკს.

მაგრამ გმირები არ კვდებიან. ხალხმა შეიყვარა მისი უზადო სამსახური და სათუთად ინახავს უშინაარი რევოლუციონერის, სამოქალაქო ომის გმირის, გამოჩენილი ინჟინერ-ენერგეტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ვ. ჯიქიას ხსოვნას.

დღეს მის სახელს მოწიწებით იხსენიებენ მამულისათვის თავდადებულ შვილებთან ერთად.

დოც. ᲐᲙ. ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲕᲚ. ᲯᲘᲥᲘᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ.

ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ, ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ წყნარი, მზიანი დღე იდგა. პირველი საბჭოთა გიგანტის — ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსი აკადემიკოსი ჰენრიხ ოსიპის-ძე გრაფტიო ჩვეულებისაებრ ადრე მოვიდა მშენებლობაზე. მშენებლობის ძირითადი უბნები შემოიარა, სათანადო განკარგულებანი და მითითებანი მისცა უბნის ხელმძღვანელებს და თავის სამუშაო ოთახში დაბრუნდა.

— ახლახან გვაცნობეს, ჰენრიხ ოსიპოვიჩ, თქვენი მოადგილე დაუნიშნავთ, — მოახსენა მდივანმა.

— ხომ არ უთქვამთ, ვინ დაუნიშნავთ?

— ვინმე ჯიქია, პეტროგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. მუშაობასთან ერთად დაუსწრებლად გაანგარიშის ინსტიტუტში სწავლასო.

გრაფტიო ეახთო. მდივნისაგან რომ დაეფარა აღელვება, სწრაფად გასცილდა, სამუშაო კაბინეტში ჩაიკეტა. გული ვერ დაუდო სამუშაოს, მაინც როგორ მოუვიდათ ახრად ამხანაგებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ამ გიგანტური მშენებლობაზე მშენებლობის ფაქტიურ ხელმძღვანელად ვინაც სტუდენტი გამოგზავნა — მოსვენებას არ აძლევდა ეს კითხვა მშენებლობის უფროსს. მაგრამ ენერგეტიკოსის ფიქრები უცბად დაარღვია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკის მოსვლამ.

...მე კარგად ვიცნობ ამხ. ჯიქიას, აშბობს სტუმარი. უფრო მეტიც, მას კარგად იცნობდა ვლადიმერ ილიჩი და დიდ პატივს სცემდა მის სახელერო ნიჭსა და ორგახიზტორულ უნარს. ამხანაგმა ჯიქიამ სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში დიდი უნარი და ენერგია გამოაჩინა წითელი არმიის საარტილერიო ნაწილების შექმნისა და გაწვრთნის საქმეში; მოაწყო შეთაურთა მოსამზადებელი კურსები და შემდგომი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პეტროგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო სასწავლებლებს.

1918 წლის სექტემბერში, როცა საბჭოთა ხელისუფლების ბედი რუსეთში ბეწვზე ეკიდა, გამოშვებულ იქნა პირველი 400 კურსდამთავრებული — წითელი მეთაური. როგორ გაუხარდა ეს წარმატება ლენინს. აღფრთოვანებულმა ილიჩმა დეპეშა გაუგზავნა და გულწრფელად მიეფლოცა ამხანაგ ჯიქიას, როგორც პეტროგრადის საოლქო. სამხედრო კომისარს, ეს დიდი გამარჯვება.

ჯიქია თავგანწირვით იბრძოდა ლენინგრადის ფრონტის უბნებზე. მან, როგორც პეტროგრადის ჯარების სარდლის მოვალეობის შესრულებელმა, 1921 წლის მარტში შეიმუშავა და ბრწყინვალედ განახორციელა კრონშტადტის აჯანყების ციხე-სიმაგრის აღების გეგმა; მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრონშტადტის ანტისაბჭოთა ამბოხების ჩაქრობაში. ამ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისთვის იგი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა. ილიჩმა მაშინ სურათი გადაიღო ბრძოლების მონაწილეთა ერთ ჯგუფთან. მათ შორის იმყოფება თვით ამხანაგი ჯიქია, თუ არ ეცდეთ, იქ ჯიქია დგას ამხანაგ ეორეშილოვის გვერდით, ლენინის უკან.

1922 წლის გაზაფხულზე ლენინის ინიციატივითა და მითითებით ამხ. ჯიქია, როგორც გამოცდილი პარტიული და საბ

ხელოვნება

ქართული ბალეტი დედაქალაქის სცენაზე

თბილისის საოპერო თეატრის გასტროლები მოსკოვში

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე წარმატებით გრძელდება. მოსკოველებმა გულთბილად მიიღეს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი არა მარტო საოპერო კლასიკა, არამედ ქართული ბალეტიც...

გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ“ 28 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა ნიკოლოზ ელიაშის ვრცელი წერილი — „ქართული ბალეტი დედაქალაქის სცენაზე“, სადაც ლაპარაკია „ოტელოზე“, „დემონზე“ და „ბალეტის საღამოზე“.

„თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო კოლექტივს, — წერს ნ. ელიაში, — მკაფიო მხატვრული ინდივიდუალობა, თავისებური შემოქმედებითი სახე აქვს. მის თვითმყოფობას მარტო ის კი არ განსაზღვრავს, რომ ამ თეატრში იქმნება ახალი ორიგინალური საბალეტო სპექტაკლები, რომ მას აქვს თავისი რეპერტუარი, რომელიც არავის არ იმეორებს. აქ მრავალი წლის დაძაბული და შთაგონებული შრომით გამომუშავდა საკუთარი სტილი, საბალეტმეისტერო და საშემსრულებლო ხელწერა, საკუთარი მხატვრული შეხედულებები და პრინციპები... ვახტანგ ჭაბუკიანმა, ქართული ბალეტის შემქმნელმა, მისმა საუკეთესო ქორეოგრაფმა და პირველმა მოცეკვავემ, აღმზრდელმა და პედაგოგმა, შეძლო მთელი კოლექტივი აღენთო ცეკვის მძაფრი სიყვარულითა და რწმენით“.

შემდეგ წერილის ავტორი ამბობს:



„სიუჟეტის პათეტიკური გაქანება. ქორეოგრაფიული კომპოზიციის არე და სივრცე, სიცოცხლის სიყვარულით სავსე ნათელი კოლორიტი, გაფორმების საზეიმო თეატრალობა თბილისელთა ბალეტის სპექტაკლების უმრავლესობის სისხლხორცეული თვისებაა“.

ნ. ელიაში განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ა. მაჭავარიანის „ოტელოს“, რომლის დადგმაც ვახტანგ ჭაბუკიანმა პირველად 1957 წელს განახორციელა. „ამჟამად ჩვენ ხელახლა ვნახეთ ეს სპექტაკლი, — წერს ავტორი. — და უნდა ითქვას, რომ პრემიერის დღიდან გასული დროის მანძილზე მისი არც ერთი საღებავი არ გახუნებულა. სპექტაკლი კიდევ უფრო გიზიდავთ თავისი ფერწერული ძალოვნებით, სივრცით, მკაფიო სახოვნებით, იგი კვლავ და კვლავ აოცებს მაყურებელს შექსპირისეული მთავარი აზრის სიცხადითა და ტემპერამენტით. ეს არის ქმნილება, რომელიც უმღერის ადამიანურ სიყვარულს, ნდობასა და იმედს, გმობს ღალატს, ვერაგობასა და სიბოროტეს. ბალეტის შემსრულებელნი ვ. ჭაბუკიანის მეთაურობით შესამჩნევად გაზრდილან და განმტკიცებულან თავიანთ როლებში. სახეები კიდევ უფრო გამომსახველი და მასშტაბური გამხდარა. ჭაბუკიანი განსაცვიფრებლად სადად და ნათლად თარგმნის შექსპირული ტრაგედიის ენას პლასტიკური ხელოვნების ენაზე. „თარგმნის“ — შეიძლება არც იყოს მთლად ზუსტი სიტყვა. ჭაბუკიანი შთაგონებულია პოეტური პირველწყაროთი, და ეს შთაგონება ეხმარება მას იმ წმინდა პლასტიკურ სახეთა პოვნაში, შექსპირის აზრებს რომ გამოხატავენ“.

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს მხატვარ ს. ვირსალაძის ნამუშევარს, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს „სპექტაკლის ემოციურ ზემოქმედებაში“, აგრეთვე ვ. ჭიგნაძისა (დეზდემონა) და ზ. კიკალეიშვილის (იაგო) საშემსრულებლო ხელოვნებას.

წერილის დიდ ნაწილს ავტორი უთმობს ს. ცინცაძის „დემონისა“ და „ბალეტის საღამოს“ განხილვას და გამოთქვამს ფრიად საყურადღებო კრიტიკულ შენიშვნებს. ნ. ელიაში წერს, რომ „დემონსა“ და „ბალეტის საღამოში“ იგრძნობა ეფექტურობისაკენ სწრაფვა, რასაც „ზოგჯერ მიეყავართ სტილის მთლიანობის დარღვევამდე, ასეთ შემთხვევაში კი ნაწარმოების აზრი სუსტად და არათანმიმდევრულად ვლინდება. უნდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლების არც მხატვრობა გამოირჩევა იმ გაჯერებითა და გემოვნებით, რაც ესოდენ გვიპყრობს „ოტელოში“.

„მაგრამ ამ ნაკლოვანებებს, — წერს დასასრულ ავტორი, — არ ძალუძთ დაჩრდილონ თბილისის თეატრის ნიჭიერებისა და თვითმყოფობის საერთო შთაბეჭდილება. ჭაბუკიანის, როგორც ქორეოგრაფისა და პედაგოგის, მოუღლელმა მოღვაწეობამ, რომელსაც მხარს უჭერს დიდი და ნიჭიერი კოლექტივი, გააკეთა ის, რომ ქართულმა ბალეტმა თავისი განუმეორებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა ქორეოგრაფიის საგანძურში“.

* * *

გუშინ საღამოს თბილისელებმა კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე წარმოადგინეს შ. გუნოს „ფაუსტი“, დღეს მოსკოველები ნახავენ ა. მაჭავარიანის „ოტელოს“. პირველ აგვისტოდან თბილისის საოპერო თეატრის კოლექტივი სპექტაკლებს გამართავს გორკის სახელობის პარკის „მწვანე თეატრში“.

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

ლაიპციგის ორკესტრის კონცერტზე

ბერლინში ყოფნისას ერთ-ერთმა გამოჩენილმა მუსიკოსმა, გერმანელ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ კერძო საუბარში თქვა, რომ მსუბუქი მუსიკის საკითხი მათ შემოქმედებაში ყველაზე მწვავე და მტკივნეული პრობლემაა.

მართლაც ასეა, თუ წარმოვიდგენთ იმ ყოველად მდარე ხარისხის, უგემოვნო, ამერიკულ ყაიდაზე შექმნილი მსუბუქი მუსიკის პროდუქციას, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოემართება დასავლეთ გერმანიიდან რადიოსა და ტელევიზიის სამუალებით და რომელსაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ ჰქონდეს ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაზე.

ამიტომ გასაგებია, რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პროგრესული მიმართულების გერმანელი კომპოზიტორები ახალი, იდეურად ჯანსაღი, ორიგინალური ესტრადის შექმნას, რომელიც შეძლებს წინააღუდგეს და დაუპირისპირდეს დასავლეთის მუსიკალურ შტამპს.

ვერ ვიტყვით, რომ ლაიპციგის რადიოსა და ტელევიზიის სასტრადო ორკესტრი, რომლის პირველი გამოსვლა 27 ივლისს მოწყო სპორტის სასახლეში, გერმანული საესტრადო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია. მაგრამ მას აქვს თავისი მიმზიდველი მხარეები, რომლებიც მსმენელებში უთუოდ გამოიწვევენ სიმპათიას.

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მეტად მომხიბლველი, უშუალოდ ადსავსე სოლისტი ჰანლბ ბრაუშრი, რომელიც წარმატებით ასრულებს პროგრამის მრავალ ვოკალურ ნომერს. ახალგაზრდა მომღერალ ქალს ახასიათებს შესრულების ინდივიდუალური მანერა, მუსიკალური სახის მკვირცხლი, ცოცხალი გადმოცემა, რასაც ხელს უწყობს კარგი ვოკალური მონაცემები. მსახიობს თავისუფლად, ძალდაუტანებლად უჭირავს თავი ესტრადაზე, მოძრაობს გადაუჭარხებლად, ჯარის მოთხოვნილების ფარგლებში.

ბრაუერის შესრულებით ბევრმა სიმღერამ ჰპოვა მოწონება. დავასახელოთ თუნდაც გემოვნებითა და მოხდენილად ნამღერი „გემშვიდობები“.

არანაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე მომღერალი ქალი ჰანნე ლიორ ჰაღლინი — მსახიობმა დიდი წარმატებით იმღერა საცეკვაო რიტმზე აგებული „ჩა-ჩა-ჩა“, გამოავლინა ხმის „სუფთა“, წკრიალა ტემბრი.

კარგად, მგზნებარედ და დიდი გემოვნებით შესრულა ბრინტერ კაპპმან სხვა ნაწარმოებებთან ერთად ცნობილი, პოპულარული მექი მესერის სიმღერა ბერტოლდ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერიდან“.

რა შეიძლება ითქვას ორკესტრის საერთო ხმოვანებაზე, შესრულების ოსტატობაზე, ანსამბლურ მხარეზე, პროგრამის მხატვრულ ხარისხზე?

მიუხედავად იმისა, რომ საესტრადო ორკესტრის პროგრამაში (ხელმძღვანელი და დირიჟორი — კომპოზიტორი ჯაზმენი პაპპენბერგი) ერთგვარი სიხალისე ნიჭიერ მომღერალთან ერთად შესანიშნავ მუსიკოსებს, ორკესტრის შემსრულებლებს შეაქვთ — დავასახელებ საქსოფონის დამკვრელს ბრუნტმერ ალბოსს, დასარტყმელი ინსტრუმენტებისას — ბრუნტერ კიზანტს და სხვ. მაინც მინდა დავძინო, რომ მოლიანად ორკესტრის პროგრამა ერთფეროვან შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით კი მეორე განყოფილება, რომელიც აქვეითებს საერთო ეღვერადობის ტონუსს.

ერთფეროვნება ორკესტრის შესრულების ნიუანსირებამაც იგრძნობა, გადაჭარბებული ფორტე ერთგვარად ღლის სმენას. პროგრამა ბევრად მოიგებდა, რომ მუსიკალური ნაწარმოებების ორკესტრობა უფრო საინტერესო და ორიგინალური ყოფილიყო. ამავე დროს არ შემიძლია არ აღვნიშნო თვით მუსიკის მაღალი ხარისხი, კარგი გემოვნება, თუმცა ზოგჯერ მძაფრი ჰარმონიების, მკვეთრი რიტმების დაყენებითი მოთხოვნილება იბადება. ერთიც მოსაწონია — ორკესტრის პროგრამა მთლიანად გერმანული ხალხური მუსიკის ტრადიციებთან არის დაკავშირებული, აქედან წარმოდგება მისი ჯანსაღი, ცოცხალი აღქმა გარემოსი, ოპტიმისტური სული.

მაგრამ ზედმეტია აკადემიზმმა არ უნდა დაჩრდილოს საესტრადო მუსიკის არსი, ბუნება. ჟანრს მაინც თავისი მოთხოვნილება აქვს. შესრულების მაღალ ოსტატობასთან, თუ გნებავთ — აკადემიურობასთან ერთად, უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საესტრადო ორკესტრის გარეგნულ მხარეს, მის „მოქმედებას“ სცენაზე. სიმხიარულე, დროული კალამბური, მოხდენილად წარმოთქმული ოხუნჯობა, ბუნებრივი და უშუალო ქცევა ორკესტრის ყველა მონაწილისა — ყოველივე ეს შნოსა და სიხალისეს მატებს პროგრამას.

აბა გავიხსენოთ თუნდაც ედი როზნერის საესტრადო ორკესტრის ერთ-ერთი მუსიკოსი გოდმანი, რომლის გამოჩენაც კი ესტრადაზე სიხალისესა და სიცოცხლეს იწვევდა მსმენელებში.

მეტი არტისტულობა, თავისუფლება, გაქანება — აი რა აკლია ამ კოლექტივს!

რევაზ გაგიჩვაძე.
პროფესორი.

* * *

სურათზე: უკრავს ლაიპციგის ორკესტრი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მოკლედ

თქვენთვის, მეგობრებო!

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). ლერმონტოვის ქუჩის დასაწყისში ახლადაშენებული ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე გაიხსნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. აქ არის სპარიკმახერო — ქალთა და მამაკაცთა სალონით, კოსმეტიკური კაბინეტი, საათებისა და ფეხსაცმლის შესაკეთებელი ოთახები, ფოტოატელიე, რადიოსახელოსნო.

□ **ლენინგორი.** რაიონულ ცენტრში, გაიხსნა ახალი საავადმყოფო, რომელიც განკუთვნილია 50 ავადმყოფისათვის.

საავადმყოფო აღჭურვილია თანამედროვე ინსტრუმენტებით და მოწყობილობით, აქვს ქირურგიული, ინფექციური, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური, ყელ-ყურის და სხვა განყოფილებები.

ა. მარგიევი.

□ **პიათიგორის** ლენინის სახელობის მაღაროში რეკონსტრუქციის შემდეგ მუშათა ღამის სანატორიუმი ერთდროულად 50 კაცს ემსახურება. ერთი წლის განმავლობაში სანატორიუმში 600 მუშამ დაისვენა.

მ. ბიწაძე.

□ **ზუგდიდი.** მშრომელთა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის „საქვაჰრობის“ განყოფილებამ რუსთაველის ქუჩაზე გახსნა რკინაკავეულის ახალი მაღაზია.

გ. ალშიბაია.

□ **ხულოს** რაიონულ ცენტრში საეკსპლოატაციოდ გადაეცა 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ახალი ბინები მიიღეს ხულოს საშუალო სკოლის პედაგოგებმა ვ. თარგამაძემ, ზ. მიქელაძემ, ლ. რიფუაძემ, ჯ. შენგელიამ და სხვებმა.

ვ. თავგირთაძილაძე.



ტურისტული ბილიკებით

ფასანაურის მისასვლელთან სალაშქრო ტანისამოსიან ტურისტთა ჯგუფს შეეხვდით.

მზემოკიდებული ჯანსალი ახალგაზრდები 79 ჩათვლითი მარშრუტის ტურისტები გამოდგნენ, რომლებიც ფეხით გადადიან ფასანაურიდან თელავამდე.

— ჩვენი მარშრუტი დაიწყო ქალაქ ორჯონიკიძეში, — გვიამბობს ჯგუფის ხელმძღვანელი ახალგაზრდა კამჩატკელი მექანიკოსი დ. ვილუნოვი. — მანქანით ჩამოვედით ყაზბეგში. იქ ყოფნის დროს ავედით გერგეთის მეინანაზე და გავიარეთ სპეციალური ალპინისტური წვრთნა. შემდეგ ავტომანქანით გადმოვლახეთ ჯვარის უღელტეხილი და სამი დღე ფასანაურის ტურბაზაში გავატარეთ.

ახლა უნდა გავიაროთ 110 კილომეტრი მთიულეთიდან კახეთში. გზად ვინახულებთ ვაჟაფშაველას სამშობლოს — ჩარგალს, შემდეგ მდინარე ირის აყოლებით მივალთ სიონის წყალსაცავამდე და იქიდან კახეთის ქედით დავეშვებით ალაზნის ველზე.

— ბევრი გვსმენია საქართველოს ბუნების სილამაზის შესახებ, — გვიამბობენ ტურისტული ჯგუფის მონაწილენი, რკინიგზის ინჟინრები უზბეკეთიდან ნინო გაგარინა და რიმა მასლიაკოვა, — მაგრამ მოგზაურობის დროს ნახულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საქართველოს თვალწარმტაცმა ბუნებამ, მისმა ბუმბერაზმა მთებმა, ლამაზმა ხეობებმა, მჩქეფარე წყალვარდნილებმა და მჭუხარე მდინარეებმა გაგვაოცეს თავისი მომაჯადოებელი სილამაზით.

ფასანაურის ტურისტულ ბაზაში უკვე 5.000-მდე ტურისტმა გაიარა.

აქ შეხვდებით ახალგაზრდებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ციმბირიდან, შუა აზიიდან, ბალტიისპირეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, უცხოეთიდან. ყველა მათგანი შინ ბრუნდება დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით.

ს. კილაძე.

სურათებზე: (მარცხნივ) ლაშქრობის წინ ტურისტები წვრთნას გადიან. (მარჯვნივ) ტურისტები მთის მწვერვალიდან გადაყურებენ ძირს გადაშლილ სანახაობას.

ფოტო ავტორისა.

შეხვედრა მწვრთნელთან

გუშინ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ მოაწყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელ გ. კაჰალინთან სპორტული ჟურნალისტების შეხვედრა.

გ. კაჰალინმა გამოთქვა აზრი ფეხბურთის რეცენზიებზე, სპორტულ ჟურნალისტთა და გუნდის ხელმძღვანელობის კავშირზე. ილაპარაკა დინამოელთა პერსპექტივებზე.

„დინამოს“ მწვრთნელმა პასუხი გასცა რიგ შეკითხვებზე. სასურველია, თქვა გ. კაჰალინმა, ამ მძიმე ხუთი გასვლითი მატჩიდან 7 ქულის ჩამოტანა. მძაფრი ბრძოლა მოგველის კიევში, მის შედეგზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მ. მესხი შეუდგა წვრთნას, მაგრამ მას საკმაო დრო დაჭირდება სპორტული ფორმის აღდგენისათვის. ჩოხელის ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა. კიევში ვითამაშებთ უკანასკნელი შემადგენლობით, ჯერ მწყობრში ვერ ჩადგა ხურცილავა.

ფრე იაროსლავლში

გუშინ იაროსლავლში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „შინაკისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ კოლექტივები. შეხვედრის შედეგი ფრე 1:1.

ფინალისტები

სამასზე მეტი ახალგაზრდა ფეხბურთელთა კოლექტივიდან საკავშირო პირველობის ფინალში გაიიდა რვა გუნდი: კიევის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოს“, ბაკოს „ნეფტჩიკის“, თბილისის „დინამოსა“ და ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის, ალმა-ატის „კაირატის“, მოსკოვის „დინამოსა“ და ხაბაროვსკის სკა-ს ახალგაზრდა თაობა. ფინალი შედგება ლვოვში.

ხელმეორედ შეიქმნა წყალბურთელთა ნაკრები

ფინალისტებს ჩვენ ვუსურვებ ბედნიერ გზას, ბევრ ბურთს, ბევრ გოლს, ბევრ ოსტატობას, ბევრ ფეხბურთულ ფეხბურთს, ბევრ ბურთ-ბურთ-ბურთ-